# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 17 ოქტომბერი 2003 №197 (1968) | ფასი 50 თეთრი




## კობიაშვილის სიმართლე

... რატომ გავხდი მემარცხენე, მოსკოვში არავის უთქვამს.

... რატომ უნდა ვითამაშოთ ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე, ვინმეზე უკეთესები ვართ?

... უცხოელი მწვრთნელი მარტო იმისთვის არ გვჭირდება, რომ ის უცხოელია. იგი გამოცდილი და მცოდნე სპეციალისტი უნდა იყოს.

... ქართულ ფეხბურთში არაფერი იცვლება, არადა, შესაცვლელი ყველაზე მთავარია: ინფრასტრუქტურა

ინტერვიუ ლევან კობიაშვილთან იხილეთ მეორე გვერდზე

# ეს ის არის!

RUGBY WORLD CUP 2003

ავსტრალია 10 ოქტომბერი — 22 ნოემბერი

## სამოა რობინ ჰუდივით ისვრის

ბორჯღალოსნები განსაკუთრებით სამოას უკანა ხაზმა ალაფრთოვანა. „რობინ ჰუდის ისრებივით დაფრინავენ" — ასე გვიხასიათებს ავსტრალიიდან ილო ზედგინიძე კუნძულელებს. უკვე ნათელია, რას და რომელ შემადგენლობას დაუპირისპირებენ ბორჯღალოსნები მსოფლიოს თასზე თავიანთ მეორე მეტოქეს. ეს იქნება ძალა შეტევაში და სიფხიზლე დაცვაში. ტექნიკური და ბურთაობაში განაფული მეტოქის წინაალმდეგ საქართველო ისე ითამაშებს, როგორც ძველთაგანვე თამაშობდა, ანუ შერკინებით მიეძალება და ეცდება დამხვდურის გადათელვას. „უკანა ხაზმა კი დაცვაში ისე უნდა იფხიზლოს, როგორც არასდროს" — გვეუბნება ბორჯღალოსანთა კაპიტანი. თავად ილო კი ალბათ თავის ადგილს დაიკავებს შერკინების ბოლოში. ინგლისთან მის პოზიციაზე ნათამაშები გიორგი ჩხაიძე სკამზე დაბრუნდება. და კიდევ ერთი ცვლილება: მარჯვენა, ანუ მძიმე ბურჯის ადგილს მართლაც მძიმე ალეკო მარგველაშვილის ნაცვლად შედარებით მობილური სოსო ნიკოლაენკო დაიჭერს.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი



ბორჯღალოსნებს სამოასთან ძველი კაპიტანი ილო ზედგინიძე გაუძღვება

## უეფას თასი

UEFA CUP პირველი ეტაპი. საპასუხო მატჩები UEFA CUP

*შალკე* *(გერმანია)* 1:0 კამენი (ხორვატია) (0:0)
ჟიჟკოვი (ჩეხეთი) 0:1 *ბრონდბიუ* *(დანია)* (0:1)
*ტეპლიცე* *(ჩეხეთი)* 1:0 კაიზერსლაუტერნი (გერმანია) (2:1)
კერნტენი (ავსტრია) 0:1 *ფეიენოორდი* *(ჰოლანდია)* (1:2)

*გერმანულმა „შალკემ“ გუშინ ძალიან ანერვიულა ქომაგები. ერთადერთი გოლი შეცვლაზე შესულმა მაიკ ჰანკემ თამაშის დასრულებამდე 14 წუთით ადრე გაიტანა.*

*1:0 შინ, ხორვატიულ „კამენთან“ მართალია, დამაჯერებლად არ ჟღერს, თუმც შედეგი რომ ლოგიკურია, ნამატჩევს ლევან კობიაშვილთან ნუხანდელმა სატელეფონო საუბარმაც დაგვარწმუნა...*

# კობიაშვილის სიმართლე

— ვისაც შეხვედრა არ უნახავს, იფიქრებს 1:0 მოგება დამაჯერებელი არააო, თუმც მერწმუნეთ, ხორვატებს, რომ იტყვიან, გადავუარეთ. სტუმრები თავიდანვე დაცვაში ისხდნენ და ძლივს გავტეხეთ. ასე რომ, შედეგი ლოგიკურია.

**— ჰანკესმა ძირითად შემადგენლობაში არ გათამაშა, მოედანზე მატჩის მიწურულს, 78-ე წუთზე შეგიშვა...**

— განსაკუთრებული არაფერი, უბრალოდ მითხრა, სამი დღით ადრე ნაკრებში ითამაშე და გადაღლილი იქნებიო, ანუ დამასვენა. კვირას, ბუნდესლიგის მორიგ ტურში „ბოხუმს“ ვმასპინძლობთ და ძირითადშიც დამაყენებს.

**— ახლა ნაკრებზეც ვთქვათ. ითქვა, რომ რუსეთის ნაკრებთან მატჩი გარიგებული, ანუ ჩაწყობილი იყო...**

— ნაკრებში ყოველთვის ხალისით და სიამაყით მოვდივარ და რომ გამეგო, თამაში გარიგებულიაო, სულ არ ჩამოვიდოდი, მოვიმიზეზებდი რაღაცას. ესეც რომ არა, მე პირადად რუსს არაფერს დავუთმობ.

**— მოსკოვში კი საკმაოდ უჩვეულო პოზიციაზე ითამაშე. კობიაშვილის მარჯვენა მცველობა მწვრთნელ ჟორდანიას დავალება იყო თუ ტაქტიკური ჩანაფიქრი...**

— არც ერთი და არც მეორე. ფაქტობრივად, მარჯვენა ფლანგზე მერაბ ჟორდანიამ არავინ დააყენა, ზონა ცარიელი და მიტოვებული იყო. უბრალოდ, შეუძლებელი იყო, რომ ასე გაგრძელებულიყო და ჩემივე ინიციატივით ვითამაშე უჩვეულო პოზიციაზე. რა თქმა უნდა, გამიჭირდა, მაგრამ გუნდს ასე სჭირდებოდა...

**— ნაკრებს უცხოელი მწვრთნელი უშველისო, ამაზე ბევრს ლაპარაკობენ...**

— მარტო მწვრთნელში როდია საქმე? მთლიანად ინფრასტრუქტურაა შესაცვლელი. ვისაც ქართული ფეხბურთის ბედი აბარია, ყველამ უნდა ვიზრუნოთ. კი ვამბობთ, გვყავს კარგი ფეხბურთელები, კალაძე, არველაძე, კობიაშვილი, ხიზანიშვილი — ესენი კარგ გუნდებში თამაშობენ და შედეგს რატომ ვერ ვაღწევთო, მაგრამ ისიც ვთქვათ, რატომ უნდა ვითამაშოთ ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე? დავიმსახურეთ, ვინმეზე უკეთესები ვართ თუ რატომ?! ნაკრები რომ შესარჩევ ციკლს აგდებს, მარტო არასათანადო კვალიფიკაციის მწვრთნელის ბრალი არაა. ჩვენ, ფეხბურთელებიც უნდა დავფიქრდეთ და ყველამ ერთად ვთქვათ, რა არის ჩვენთვის ნაკრები? ვაღიაროთ, დღეს ჩვენ უბრალოდ არ ვართ ღირსნი რომ გავიდეთ ფინალურ ეტაპზე.

**— გამოსავალს რაში ხედავ?**

— ხომ გითხარი, მთლიანად ინფრასტრუქტურა, სისტემაა შესაცვლელი. ეროვნული ჩემპიონატი უნდა იყოს მაღალ დონეზე ორგანიზებული, ნაკრებისთვის სულ ცოტა, 2-3 სათანადო ფეხბურთელს რომ ამზადებდეს. საქართველოს ნაკრებში დღეს ფაქტობრივად, კონკურენცია არ არის, ვთამაშობთ ისინი, რომლებსაც აქამდე გვითამაშია. ასე თუ გავაგრძელეთ, არც არაფერი გვეშველება. მერწმუნეთ, ასეა. ხოლო, უცხოელი მწვრთნელი მარტო იმისთვის არ გვჭირდება, რომ ის უცხოელია, იგი გამოცდილი და მცოდნე სპეციალისტი უნდა იყოს.

**გიორგი მაჟაძიძე**

### რუსეთი

პრემიერლიგა
XXVIII ტური

ლოკომოტივი 6:1 შინიკი

### ირლანდია

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

დერი სიტი 1:2 უოტერფორდი

### შვედეთი

თასის ნახევარფინალი

იურგორდენი 0:4 *ასირისკა*


ფეხბურთი

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

პირველი ლიგა

19 ოქტომბერი

მეათე ტური

ამერი — სამგურალი

თბილისი წყალტუბო

დასაწყისი 16 საათზე. დასწრება უფასოა


საქართველოს პირველი ლიგა 15 ჩემპიონატი პირველი ეტაპი 6 ტური გადადებული მატჩი

# ჩიხურამ ამერი შეახურა

თბილისი. 16 ოქტომბერი. 16 საათი. ეროვნული. 300 მაყურებელი

## ამერი 0:2 ჩიხურა

0:1 მეტრეველი (51), 0:2 ქურციკიძე (69)

**ამერი:** ასლანაძე, ჩიხრაძე, დავითნიძე, ვერემჩუკი (ელბაქიძე 46), მჭედლიშვილი, ნიკოლაიშვილი (ზერიანიძე 78), გარუჩავა, განუგრავა, კილასონია, წინამძღვრიშვილი, რუსია (ჩიმაკაძე 85)
**მწვრთნელი:** გაიოზ დარსაძე

**ჩიხურა:** გუგუნავა, ო. ქილაძე, გუჯაბიძე, პიპიროიძე, გ. ჩხაიძე, ლომინაშვილი, მაზანაშვილი, შუკაკიძე, სტეფანიშვილი (ხახიშვილი 85), კ. მეტრეველი (ი. ქილაძე 88), ქურციკიძე (გ. სამხარაძე 73)
**მწვრთნელი:** სპარტაკ არჩვაძე

**გაფრთხილება:** ო. ქილაძე (28), დავითნიძე (49)

**მსაჯები:** ა. ორდინიძე; ზ. ხუციშვილი, დ. ხარიტონაშვილი; ზ. ანიაშვილი

**პაპუნა კედია**

გიორგი ქურციკიძემ შესანიშნავად ითამაშა! — აი, ეს გვინდოდა გვეთქვა. კარგია, როდესაც გუნდი ერთსულოვნებით იგებს; კარგია, როდესაც იღბლის წყალობით იგებს; კარგია, როდესაც მოწინააღმდეგის შეცდომების გამო იგებს, მაგრამ არის მოგების კიდევ ერთი, ძალიან ლამაზი ფორმა, როდესაც მისი რომელიმე ფეხბურთელი გამორჩეულად თამაშობს.

„ჩიხურამ“ გუნდურადაც კარგად ითამაშა. ნათლად ჩანდა, რომ იცოდა, რა უნდოდა და რას აკეთებდა — ჩვენში ეს იშვიათობაა, თან არა მარტო ფეხბურთში, თვით ქვეყნის მართვაშიც. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე საჩხერელთა მწვრთნელმა *სპარტაკ არჩვაძემ* ასე ბრძანა:

— „ამერის“ თამაში გორში, „ცხინვალთან“ ვნახე. მაშინ გუნდი უფრო ცოცხლად მოქმედებდა. ეტყობა მერე, ზედიზედ მიწყობილმა თამაშებმა იქონია გავლენა. გორში ყურადღება ნახევარმცველ გეგი გარუჩავას მივაქციე. ის გუნდს ჰკრავდა, ამიტომ დღეს ჩემს ერთ-ერთ თავდამსხმელს დავავალე, როდესაც ბურთს მეტოქე ჩაიგდებდა, მოედნის შუაში დაბრუნებულიყო და გარუჩავა შეეზღუდა. ვფიქრობ, „ამერმა“ უფრო ძლიერად რომ ვერ შეგვიტია, მიზეზი ესეც გახლდათ.

„ჩიხურას“ მწვრთნელის ჩამოთვლილ მიზეზებს შეგვიძლია მეტად თვალშისაცემი — ტრავმირებულ ფეხბურთელთა სიმრავლეც დავამატოთ, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში არსებობს ბრძოლისუნარიანობის ქვევითა საზღვარი, რომელსაც სასურველია არ ჩაცდე. ამ დღეს „ამერი“, ვფიქროთ, ეპიზოდებში ამ ზღვარს ქვევით იყო.

სტუმრებმა, რომელთა შორის ბევრი გამოცდილი ფეხბურთელია, ინიციატივის მოპოვება პირველივე წამიდან სცადეს და მომენტიც ხელად შექმნეს: ნიკოლოზ სტეფანიშვილის პასით ზემოთ ნაქებმა ქურციკიძემ დაარტყა, მაგრამ ბურთი „ამერის“ მეკარემ, დავით ასლანაძემ მოიგერია. ასლანაძემ იყოჩაღა მე-2 წუთზეც. ამის მერე, ერთხანს, საჩხერელებმა მოედნის ამერულ ნახევარზე იტრიალეს.

მასპინძლების პირველი „გასროლა“ კი მე-7 წუთამდე არ ყოფილა. მეშვიდეზე გიორგი კილასონიამ გარუჩავას დააწყებინა კონტრშეტევა, გარუჩავამ რატი წინამძღვრიშვილს გადასცა ბურთი, მას კი მეკარე კონსტანტინე გუგუნავამ აუღო.

თამაში სადღაც მე-15-17-ე წუთისთვის ჩაცხრა, თუმცა 35-ზე გამოცდილმა გია ჩხაიძემ მარცხნიდან შეინავარდა „ამერის“ საჯარიმოში და ისევ ასლანაძეს შეუმოწმა სიმტკიცე.

შესვენების შემდეგ ისედაც სკამშეთხელებულ „ამერს“ დაცვაში ქურციკიძისგან შეწუხებული დიმიტრი ვერემჩუკის გიორგი ელბაქიძით შეცვლა მოუხდა და მატჩი კიდევ უფრო საჩხერული სცენარით განვითარდა. 49-ე წუთზე იყო ჯარიმა, რომლის შემდეგ ბურთმა თბილისელთათვის უსიამოვნოდ იტრიალა მათ საჯარიმოში და მის შორიახლოს, 51-ზე კი გიორგი მაზანაშვილმა მარჯვნიდან უპრობლემოდ ჩააწოდა, ხოლო კონსტანტინე მეტრეველმა „ამერის“ კაპიტნის, გიორგი ჩიხრაძის და მეკარის წინააღმდეგობას სძლია — ანგარიში გახსნა.

მეორე გოლი „ჩიხურამ“ 68-ე წუთზე გაიტანა — თბილისელ მცველებს ქურციკიძე დაუსხლტათ და დაისაჯნენ, მანამდე კი:

53-ე წუთზე ქურციკიძე შევარდა სახიფათოდ, მაგრამ ანგარიში ვერ გაზარდა და ამას „ამერის“ გამოცოცხლება მოჰყვა. თავიდან მარჯვენა ფრთაზე ორ მეტოქეს დავით მჭედლიშვილი გასცდა მშვენივრად, დაარტყა, გუგუნავას მოგერიებულიც ისევ მან მიიღო, რის მერეც ბურთმა სახიფათოდ იტრიალა „ჩიხურას“ კართან, მაგრამ გოლი არ გასულა. 61-ე წუთზე გიორგი კილასონიას პასით მამუკა რუსია შეიჭრა გუგუნავასთან პირისპირ, მაგრამ რუსიას მეკარემ აჯობა. 62-ზე კილასონიამ წინამძღვრიშვილს შეუქმნა მომენტი — ამ ოთხ-ხუთწუთიან მონაკვეთში ვეტერანმა ახალგაზრდულად გაიბრწყინა — თუმცა შემდეგ „ჩიხურამ“ კინაღამ მესამეც შეაგდო.

*გაიოზ დარსაძე* „ამერის“ მწვრთნელი: „პასებში ბევრი წუნი გვქონდა, ამდენი წუნით კი კარგად ვერ ითამაშებ. მეტს ველოდი გამოცდილი, ასაკოვანი ფეხბურთელებისაგან, მათ თამაშში გარდატეხა უნდა შეეტანათ“.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქობულეთი | 8 | 6 | 0 | 2 | 12:4 | 18 |
| სამგურალი | 9 | 5 | 3 | 1 | 12:5 | 18 |
| ოლიმპი | 7 | 5 | 2 | 0 | 16:6 | 17 |
| გორდა | 9 | 5 | 1 | 3 | 12:10 | 16 |
| თსუ | 9 | 4 | 2 | 3 | 17:9 | 14 |
| ცხინვალი | 8 | 3 | 4 | 1 | 13:4 | 13 |
| ჩიხურა | 9 | 4 | 0 | 5 | 9:11 | 12 |
| დინამო 2 | 9 | 3 | 3 | 3 | 15:12 | 12 |
| ამერი | 9 | 3 | 2 | 4 | 13:11 | 11 |
| გურია | 9 | 3 | 2 | 4 | 8:10 | 11 |
| მილანი | 9 | 3 | 2 | 4 | 5:7 | 11 |
| ვიტ ჯორჯია-მცხ. | 9 | 2 | 5 | 2 | 6:6 | 11 |
| ლოკომოტივი 2 | 9 | 3 | 1 | 5 | 6:11 | 10 |
| ლუაა | 9 | 3 | 1 | 5 | 7:14 | 10 |
| ივერია | 9 | 2 | 4 | 3 | 6:12 | 10 |
| მეტალურგი | 9 | 0 | 0 | 9 | 3:28 | 0 |



ვანო შიუკაშვილის ფოტო



*დონეცკელმა ქართველებმა გოჩა ჯამარაულმა და გიორგი დემეტრაძემ შაბათიდან ოთხშაბათამდე ორი მნიშვნელოვანი მატჩი ითამაშეს: შაბათს მოსკოვში სანაკრებო რუსეთი – საქართველო მოილიეს, ოთხშაბათს კი პარმაში საკლუბო „პარმა“ – „მეტალურგი“. ორჯერვე ნაგებულნი დარჩნენ, ჯერ 1:3, მერე 0:3. გუნდი უეფას თასს დაემშვიდობა, ნაკრებმა ისევ უსახელოდ ჩაამთავრა ევროშესარჩევი.*

*გუშინ გოჩა ჯამარაულს დავუკავშირდით დონეცკში და ამ ორ მატჩზე, რა თქმა უნდა, ეროვნული გუნდის სამომავლო თავკაცზეც ვესაუბრეთ*

# ჯამარაულმა დაცვა ნახა

## გოჩა რუსეთთან ფეხმა არ გაუშვა, იტალიაში — პარმამ

— კლასიკური კატენაჩოს ძალა გუშინ საკუთარ თავზე გამოვცადე — გვითხრა გოჩა ჯამარაულმა — „პარმას“ საპასუხო მატჩისას ნულოვანი ფრეც ჰყოფნიდა და თამაში კონტრშეტევებზე ააწყო. შეუძლებელი იყო იტალიელთა კართან მიახლოებაც კი, მომენტების შექმნაზე აღარაფერს ვამბობ. მთელი მატჩისას ბურთს ჩვენ ვაკონტროლებდით, მაგრამ ხეირი ვერ ვნახეთ. მასპინძლებმა რამდენი შეტევაც წამოიწყეს, იმდენი გოლი გაგვიტანეს.

**— მთლად უშანსოდ იყავით?**

— შანსი კი გვქონდა, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. პირველი გოლი „პარმამ“ ტაიმის ბოლოს, 45-ე წუთზე საჯარიმოდან გაგვიტანა და ალბათ, გადამწყვეტიც ეს გამოდგა. მეორე ტაიმი რომ უგოლოდ დაწყებულიყო, ვინ იცის, ეგებ ჩვენ შეგვეგდო კიდეც.

**— ახლა, ალბათ, მთელ ძალას უკრაინის ჩემპიონატს მოახმართ...**

— რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ვაპირებთ ბრძოლას. ახლა „ობოლონს“ კიევში ვსტუმრობთ. 25 ოქტომბერს კი „დინამოს“ ვმასპინძლობთ. ეს თამაში ჩვენთვის სატურნირო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი და პრინციპული.

**— ტრავმირებული ფეხი მოიშუშე?**

— არა, საზარდული კიდევ მაწუხებს. მკურნალობას დასვენება სჭირდება, საამისო დრო კი არ მაქვს. ყოველ მეოთხე დღეს თამაში მიწევდა.

**— რუსეთთან გამაყუჩებელი ნემსებით ითამაშე? მატჩამდე თითქოს არაფერი გაწუხებდა...**

— მატჩის დილას, მოთელვაზე, ფეხმა შემაწუხა. სხვა გამოსავალი არ იყო, თამაშს მხოლოდ ნემსებით შევძლებდი, ასეთი შეხვედრის გამოტოვება კი არ შემეძლო. შესვენებაზე ტკივილი ველარ ავიტანე და შეცვლა ამიტომაც ვითხოვე.

**— მატჩზე რას იტყვი? შეგეძლოთ მოგება მოსკოვში?**

— შეუძლებელი რა იყო? ყველა დამეთანხმება, პირველ ტაიმში რუსები დავჩაგრეთ და ანგარიშის გათანაბრებამდე მომენტებიდან ერთიც რომ გამოგვეყენებინა, ვინ იცის, მატჩი როგორ დამთავრდებოდა. შესვენების მერე კი, რა ვთქვა, რუსებმა გადაგვირბინეს.

**— რას თვლი წაგების უმთავრეს მიზეზად?**

— ალბათ უფრო ფიზიკურ მომზადებას.

**— კიდევ?**

— კიდევ ისაა, რომ რუსეთს საკმარისზე მეტი მოტივაცია ჰქონდა მატჩის მოსაგებად, ჩვენ კი... მართალია, რუსებს ვეთამაშებოდით, მაგრამ ქვეცნობიერად, მაინც... ამ შეხვედრას ჩვენთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა.

**— ნამატჩევს რუსი ნაცნობებიდან არავინ გინახავს?**

— რამდენიმე ფეხბურთელს ვესაუბრე. ჩვენგან ასეთ წინააღმდეგობას არ ელოდნენ. თუმც, რაა სათქმელი, უკეთ თამაში შეგვეძლო.

**— უკეთ თამაშის „წამალი“ უცხოელი მწვრთნელია...**

— რა თქმა უნდა. აუცილებლად უცხოელი მწვრთნელი.

**— როგორი ფეხბურთის მიმდევარი უნდა იყოს ახალი თავკაცი?**

— ტექნიკურის...

**— იტალიელი, ესპანელი, სამხრეთამერიკელი?**

— არაა აუცილებელი მწვრთნელი ამ ქვეყნებიდან იყოს. ფრანგის და ჰოლანდიელის ხელმძღვანელობითაც მითამაშია. ისინიც ტექნიკურ ფეხბურთს ამჯობინებენ. ქართველი ბურთთან უნდა მიუშვა, სხვანაირად ყველაფერი აირ-დაირევა. სერიოზული ესპანელი მწვრთნელი კი ვეჭვობ, საქართველოში მუშაობას დათანხმდეს.

**კობა ინასარიძე**

# ნემსაძე უარესი უბრალო ჭადარა

*გიორგი ნემსაძის „დანდიმ“ უეფას თასზე ორივე მატჩი დათმო „პერუჯასთან“ — გუშინწინ დანდელებმა პერუჯაში 0:1 წააგეს, მაგრამ ეს არ იყო უბრალო მარცხი — „დანდის“ მწვრთნელი ჯიმ დაფი ნამატჩევს ნაპერწკლებს ჰყრიდა...*

*ჩვენი ნაკრების კაპიტანსაც ამად დავუკავშირდით დანდიში*

— ასეთი თამაშით „პერუჯასთან“ არანაირი შანსი არ გვქონდა. რაც „დანდიში“ ვარ, ასე ცუდად არასდროს არ გვითამაშია. რითი იყო ეს გამოწვეული, ვერ გეტყვით. ყველაფერს ალბათ მხოლოდ ერთი ახსნა აქვს — „დანდის“ შემადგენლობის თითქმის 90 პროცენტისთვის ეს პირველი საკლუბო ევროტურნირი იყო.

**— ჯიმ დაფის უთქვამს, ფეხბურთელებით გაწბილებული ვარ, მათ რომ 20 პროცენტით მაინც უკეთ ეთამაშათ, იქნებ ფრესთვის მიგვეღწია, ან სულაც მოგვეგო მატჩიო...**

—რა პროცენტებზე უნდა ვილაპარაკო, როცა მინდორზე სულ სხვა, შეცვლილი „დანდი“ იყო. თანაც არც ერთ ჩვენთაგანს თავი არ გამოუჩენია. ხომ ხდება, როცა გუნდში ვილაცა ვილაცაზე უკეთ თამაშობს, მაგრამ ასეთი რამეც არ ყოფილა.

**— „პერუჯამ“ ძლიერად ითამაშა?**

— საქმეც ისაა, რომ არა. ჩვენ კი ელემენტარული პასიც არ გამოგვდიოდა.

**— ფაბრიციო რავანელის დებიუტს როდის უნდა ველოდოთ „დანდიში“?**

— მას უეფას თასის პირველ ეტაპზე თამაშის უფლება არ ჰქონდა. შოტლანდიის ჩემპიონატში კი ახლა „პარტიკთან“ ვთამაშობთ და რავანელი, ალბათ განაცხადში იქნება. თუმც ვეჭვობ, რომ მთელი მატჩი ითამაშოს. პერუჯაში კი ის მატჩამდე სამი დღით ადრე ჩავიდა — პერუჯა ხომ მისი მშობლიური ქალაქია.

**— პერუჯაში „დანდის“ ყოფილი მწვრთნელი ივანო ბონეტიც ჩასულა...**

— ის ძალიან თბილად შეგვხდა. სხვათა შორის, „დანდის“ პერუჯაში დაახლოებით 3 000 გულშემატკივარი ჩამოყვა და ისინიც ძალიან გულთბილად მიეგებნენ ბონეტის.

**— „დანდი“ ახლა მხოლოდ საშინაო ფრონტზე გააგრძელებს ბრძოლას...**

— ჩვენი მიზანი უეფას თასის საგზურის მოპოვებაა. წინა სეზონში ეს ასოციაციის თასის ფინალში გასვლით მოვახერხეთ, ახლა კი მხოლოდ თასის იმედზე ვერ ვიქნებით — მესამე ან მეოთხე ადგილი უნდა დავიკავოთ.

**დავით თამართქილაძე**



გიორგი ნემსაძის (მარცხნივ) „დანდიმ“ „პერუჯას“ კლასით ვერ აჯობა

*წუხელ მოსკოვის „ლოკომოტივმა“ უეფას თასის საგზურისთვის მებრძოლ იაროსლავის „შინიკს“ 6:1 გადაურბინა. რკინიგზელთაგან ყველაზე მეტად მიხეილ აშვეთია გამოირჩა, რომელმაც დუბლი შეასრულა და ორ სხვა გოლშიც ლომის წილი დაიდო. ქართველი თავდამსხმელი კვლავ საუკეთესო ფორმაშია და ჩემპიონთა ლიგაში გოლების გატანას კვლავ აპირებს. მიხეილ აშვეთიას გუშინ ნამატჩევს შევეხმიანეთ*

# ინტერი შედეგია, არსენალი ხარისხი

## აშვეთიას დასარბევად რუსეთი დარჩა



— „შინიკს“ მაგრად ვაჯობეთ. მეტოქეს არანაირი შანსი არ ჰქონია. დიდი უპირატესობა გვქონდა და გამოვიყენეთ კიდეც.

**— გოლები როგორ გაიტანე?**

— ორივე თავით შევაგდე.

**— თავურით გატანას ამ ბოლო ხანს ძალიან დაეჩვიე...**

— ჰო, ინგლისური სტილი მაგრად შემიყვარდა.

**— ისე, მომენტები კიდევ გქონია...**

— ორ საგოლე კომბინაციაში მივიღე მონაწილეობა. ერთხელაც „შინიკის“ მეკარემ ისეთი ბურთი ამიღო, ახლაც გაკვირვებული ვარ. მესამე გოლის გატანა მაინც შემეძლო, მაგრამ მცველმა კარის ხაზიდან გამოიტანა ჩემი დარტყმული. არაუშავს, ასეც კმაყოფილი ვარ.

**— ახლა, ალბათ, „ზენიტის“ წაფორხილებას ელოდები...**

— მეორე ადგილზე გასვლა ძალიან გვინდა, მაგრამ თუ ასე არ მოხდა, ბრინჯაოს მაინც ვერავინ წაგვართმევს. ვნახოთ, როგორ ითამაშებენ კონკურენტები.

**— დრო რომ იყოს, ალბათ, ბომბარდირობაზეც იფიქრებდი...**

— არაუშავს. მომავალ სეზონში ვიზრუნებ სამაგისოდ.

**— მალე ჩემპიონთა ლიგაში „ინტერთან“ გელით თამაში...**

— იტალიელებთან სათამაშოდ სერიოზულად ვემზადებით. მართალია, ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავს, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ლოკომოტივი“ ახლა საუკეთესო ფორმაშია. შანსი გვაქვს და დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება.

**— როგორც ვიცით, „ინტერის“ დასაზვერად იური სიომინი აპირებს მილანში ჩასვლას.**

— მეც ეგრე ვიცი. სიომინი ალბათ, შაბათს ჩავა იტალიაში და მეტოქეს დააკვირდება.

**— ჯგუფის ფავორიტად ვინ მიგაჩნია?**

— „ინტერი“ და „არსენალი“, თუმც ჩვენც ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**— რომელს გამოარჩევ?**

— შედეგით „ინტერს“, მაგრამ თამაშის ხარისხით მგონი „არსენალი“ უკეთესია.

**კახა შალამბერიძე**



ბოლოს ჩემპიონთა ლიგა კახა კალაძის „მილანმა“ მოიგო

# ქართული ფეხბურთი ევროპაში გაშეშდა

## სამამდე კარგად ვითვლით

**უეფამ** ახალი საკლუბო სეზონის კოეფიციენტები გამოაქვეყნა. ცხრილი ბოლო ხუთ სეზონში კლუბების ნაჩვენები შედეგების გათვალისწინებითაა შედგენილი და 2004-05 წლებში მონაწილეთა საუეფო რეიტინგს ასახავს.

შედეგების მიხედვით გაირკვა, რომ ესპანეთს, იტალიასა და ინგლისს ჩემპიონთა ლიგაში ყველაზე მეტი, ოთხ-ოთხი წარმომადგენელი ეყოლებათ. ამათგან ორ-ორი ჯგუფში, ორ-ორი კი მესამე, ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპზე.

ყველაზე დიდ წარმატებას შოტლანდიამ მიაღწია. სქოთებს ძველებურად ორი კლუბი კი ეყოლებათ ჩემპიონთა ლიგაში, ოღონდ ჩემპიონი პირდაპირ ჯგუფში მოხვდება. აქამდე კი პირველ-მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ერთვებოდა გათამაშებაში.

შოტლანდიელთა სიხარული თურქეთის მწუხარება გამოდგა. სქოთებმა სწორედ თურქების მიერ დაკარგული ადგილი „მიითვისეს“. თურქეთს ერთადერთი შანსი აქვს — „გალათასარაიმ“ ან „ბეშიქთაშმა“ წლევანდელი ჩემპიონთა ლიგა უნდა მოიგოს, რაც ცოტა არარეალური ჩანს.

ერთი საგზური შეიმატა შვეიცარიამაც. „ნეიტრალები“ კლუბებს მეორე და მესამე საკვალიფიკაციო ეტაპებზე წარადგენენ. ასეთივე პატივი ერგო ისრაელსაც.

ცხადია, ჩვენთვის ყველაზე საინტერესო საქართველოს ადგილია. გეტყვით, რომ ქართულ კლუბებს ფეხი არსად მოუცვლიათ და წლევანდელი სირცხვილიანი ევროსეზონის მიუხედავად, „ძველი ციფრები“ შეინარჩუნეს. საქართველოს ჩემპიონთა ლიგაში ერთი კლუბი — ქვეყნის ჩემპიონი ეყოლება, რომელიც პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაერთვება გათამაშებაში.

უცვლელი დარჩა უეფას თასზე მონაწილეთა რაოდენობაც. საქართველოს თასის მფლობელი და ვიცე-ჩემპიონი უეფას თასზე პირველი შესარჩევი ეტაპიდან ითამაშებენ.

უეფას რეიტინგში საქართველოს 33-ე ადგილზეა.

**კახა ზალამბერიძე**

# როგორ ვიშოვოთ მილიონი?

## ფიფა-უეფა ფულს არიგებს, საქართველო რიგშია

**დღეს** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია ყატარის დედაქალაქ დოჰაში მიემგზავრებიან და ფიფას კონგრესის მუშაობაში მიიღებენ მონაწილეობას. კონგრესი შაბათ-კვირას გაიმართება. შაბათსვე დოჰაში უეფას წევრი ქვეყნების გენმდივნების შეკრებაც იგეგმება, სადაც ევროპულები პროგრამა „ჰეთ თრიქის“ საკითხებს განიხილავენ. ეს პროგრამა ევროპელთათვის ფინანსურ დახმარებას ითვალისწინებს. ჩვენები უეფასგან ოთხ წელიწადში, სავარაუდოდ, 250 მილიონ შვეიცარიულ ფრანკს მიიღებენ.

ფიფას კონგრესზე საუბარი იქნება ანალოგიური პროგრამის, „გოლის“ დახმარების განაწილებაზეც. ფეხბურთის ფედერაციამ „გოლის“ „სიტკბო“ უკვე იგრძნო, მიღებული მილიონით ფედერაციამ ნაკრებისთვის საწვრთნელი ბაზა ააშენა. ამჯერადაც სფფ-ს ყატარში ნაირ-ნაირი სამუშაო პროექტებით მიემგზავრება, რის საფუძველზეც მიიღებს კიდეც ოთხწლიურ მილიონს.

ფედერაცია ფიფა-უეფას ფულებით ბაზის კიდევ უფრო კეთილმოწყობას, რეგიონალური ათი ფედერაციისთვის ოფისების აშენებასა და ქვეყნის ყველა კუთხეში მინი-მოედნების გაკეთებას გეგმავს.

სავარაუდოდ, ყატარშივე გაირკვევა ეროვნული გუნდის მომავალი ტექნიკური სპონსორის ვინაობაც. ნაკრებს ან „პუმა“ შემოსავს, ანაც „კაპა“. არაა გამორიცხული, ეს საკითხიც დეკემბრამდე გადაიდოს.

ფედერაციამ ასევე უკვე დაიწყო მუშაობა ნაკრების ახალი, უცხოელი მწვრთნელის მოსაძებნად, თუმცა, როგორც ვალერი ჩოლარია ამბობს, დეკემბრამდე კანდიდატებზე არაფერს იტყვის.

**ლუკა თალაკვაძე**

საქართველოს უმაღლესი ლიგა 15 ჩემპიონატი

პირველი ეტაპი

12 ტური

ანონსი

# მეორე წრე გორში გათენდება

**პირველი** ეტაპის მეორე წრე დღეს გორში დაიწყება. „დილა“ „კოლხეთს“ მასპინძლობს და თუ მოიგო, სულ მცირე, ორი დღით ლიდერობას გაინაღდებს. ამიტომაც ქართლელები გამალებით ემზადებიან ამ თამაშისთვის და არასტაბილურ კოლხებს უეჭველად დიდ პრობლემებს გაუჩენენ. ზღვისპირელები კრიზისში არიან, ფოთელებმა ბოლო ხუთ მატჩში მხოლოდ ერთი ქულა აიღეს, გასავარდნ ზონასთან ტრიალებენ და თუ სიტუაცია რადიკალურად არ შეცვალეს, გაზაფხულზე თავში საცემად ექნებათ საქმე. „დილა“ კი ალმავლობის გზაზეა. გორელებმა ამ სეზონში ბევრი გააოცეს. ზურაბ ხორგუაშვილის გუნდი ერთადერთია შინაურ სარბიელზე ქულა რომ არ დაუკარგავს და დღეს ამ წარმატებული სერიის შეწყვეტის ერთობ მცირე შანსია.

სამდღიანი ტურის სამი მატჩი ხვალ ჩატარდება. ბრაზილიურ რელსებზე შემდგარი „ტორპედო“ ბათუმში შეეცდება წინა ტურებში წამხდარი საქმის გამოსწორებას, თუმცა ეგ არის, „ტორპედო“ თუ დამარცხდა, პირად ანტირეკორდს „გაიუმჯობესებს“ — ზედიზედ ოთხი წაგება ექნება.

„თბილისი“ უმაღლეს ლიგაში საარსებო ქულების დაგროვებას „მერცხალთან“ შეეცდება და საამისოდ კარგი შანსიც აქვთ დედაქალაქელებს, თუმცა ოზურგეთელებს დასაკარგი არაფერი აქვთ და ბოლომდე იბრძოლებენ.

დღის ცენტრალური მატჩი „მცხეთა“ — „ვიტ ჯორჯია“. ჩემპიონატის აღმოჩენა დებიუტანტი „მცხეთა“ ლიდერთა რისხვაა. „დინამო“, „ლოკომოტივი“ და „ტორპედო“ უკვე დაამარცხა და ამათ თუ „ვიტ ჯორჯიაც“ დააყოლა, გუცაევის გუნდი შორს წავა, თუმცა ვიტელთა დაჩოქება წლეულს ერთობ რთულია. ზურაბ ბერიძის გუნდმა ამ სეზონში მხოლოდ ერთხელ წაიფორხილა გორში. „ვიტ ჯორჯია“ შეკრული, სტაბილური გუნდია და ესეც არ იყოს, ნაცნობ გარემოში — მცხეთურ სარბიელზე მოუხდება თამაში და საეჭვოა, ძველი სახლიდან გალახულნი წამოვიდნენ ბერიძის ბიჭები.

საკვირაო „სპარტაკი“ — „დინამოს“ მატჩში მასპინძელს, თუნდაც, ქულის აღების მცირე შანსი აქვს. „დინამოს“ არ უნდა გაუჭირდეს ერთ-ერთი აუტსაიდერის დამარცხება, მით უფრო, რომ სატურნიროცხრილის გადამკიდე ჩემპიონი ვვარიან გაწამაწიაშია, რაკილა ერთბაშად სამი კონკურენტი უპირებს საჩემპიონო ტახტის წართმევას.

ბოლოს კი ბოლნისისკენაც გავიხედოთ. პრინციპული მატჩი აქვთ ქვემოქართლელებს ტურგაცდენილ „ლოკომოტივთან“.

თაობათა დაპირისპირება — რევაზ არველაძე ოთარ გაბელიას წინააღმდეგ. რკინიგზელები ტრადიციულად უქულოდ ბრუნდებოდნენ ბოლნისიდან, მაგრამ კაცმა არ იცის, კვირას რა განწყობით გავლენ გუნდები მოედანზე.

**პაატა კმანტალიანი**

გორი. 17 ოქტომბერი. 16 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

**დილა — კოლხეთი**

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია; დირექტორი: შ. ბაქრაძე

ბათუმი. 18 ოქტომბერი. 16 საათი. დინამო

**ბათუმი — ტორპედო**

მცხეთა. 18 ოქტომბერი. 16 საათი. არმაზი

**მცხეთა — ვიტ ჯორჯია**

თბილისი. 18 ოქტომბერი. 16 საათი. შევარდენი

**თბილისი — მერცხალი**

თბილისი. 19 ოქტომბერი. 16 საათი. ლოკომოტივი

**სპარტაკი — დინამო**

ბოლნისი. 19 ოქტომბერი. 16 საათი. თემურ სტეფანია

**სიონი — ლოკომოტივი**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 8 - ახალაია | დინამო |
| 6 - დავითაშვილი | თბილისი |
| 5 - გოცირიძე | ვიტ ჯორჯია |
| მელქაძე | დინამო |
| ა. კაიდარაშვილი | დილა |
| გონჩაროვი | სიონი |
| 4 - დარასელია | დინამო |
| კაკალაძე | ბათუმი |
| კოძუაშვილი | დილა |
| ჩილვინაძე | მცხეთა |
| გაბედავა | მერცხალი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 11 | 7 | 2 | 2 | 26:5 | 23 |
| დილა | 11 | 7 | 1 | 3 | 16:8 | 22 |
| ვიტ ჯორჯია | 11 | 6 | 4 | 1 | 17:5 | 22 |
| სიონი | 11 | 5 | 5 | 1 | 12:6 | 20 |
| მცხეთა | 11 | 5 | 1 | 5 | 14:20 | 16 |
| ლოკომოტივი | 10 | 4 | 3 | 3 | 13:11 | 15 |
| ტორპედო | 11 | 4 | 2 | 5 | 9:10 | 14 |
| თბილისი | 10 | 3 | 2 | 5 | 11:14 | 11 |
| კოლხეთი | 11 | 3 | 2 | 6 | 9:14 | 11 |
| ბათუმი | 11 | 3 | 1 | 7 | 8:14 | 10 |
| სპარტაკი | 11 | 2 | 3 | 6 | 7:23 | 9 |
| მერცხალი | 11 | 2 | 2 | 7 | 11:23 | 8 |



მერაბ დოლიძეაშვილის ფოტო

ვლადიმერ გოჩაშვილის (ბურთით) „ვიტ ჯორჯიამ“ პირველ ტურში „მცხეთა“ დაჩაგრა. რა მოხდება ხვალ?

# უეფას თასი 2003-2004. პირველი ეტაპი. საპასუხო მატჩები



ლოკერენი — მანჩესტერ სიტი. სახეს ნუ მალავ... სტუმარი სილვენ დისტინი მასპინძელმა აბუბაქარ ფოფანამ გააკვირვა

ესბიერგი (დანია) 1:1 **სპარტაკი (რუსეთი)** (0:2)
**არისი (საბერძნეთი)** 2:1 ზიმბრუ (მოლდოვა) (1:1)
**პერუჯა (იტალია)** 1:0 დანდი (შოტლანდია) (2:1)
**პარმა (იტალია)** 3:0 მეტალურგი (დონეცკი, უკრაინა) (1:1)
**ტორპედო (რუსეთი)** 1:1დ.დ.(3:2პენ. 1:1) ცსკა (ბულგარეთი) (1:1)
ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) 0:0 **გაზიანთეპი (თურქეთი)** (0:1)
**ვროცლინი (პოლონეთი)** 1:0 ჰერტა (გერმანია) (0:0)
**ჰაიდუკი (ხორვატია)** 0:0 გრასჰოპერი (შვეიცარია) (1:1)
**ლევსკი (ბულგარეთი)** 4:0 ჰაპოელი (რამათ განი, ისრაელი) (1:0)
**დებრეცენი (უნგრეთი)** 3:2 ვარტექსი (ხორვატია) (3:1)
**დნიპრო (უკრაინა)** 3:0 ჰამბურგი (გერმანია) (1:2)
ნორდსიელანდი (დანია) 0:1 **პანიონიოსი (საბერძნეთი)** (1:2)
გრაცერი (ავსტრია) 1:1 **ვოლერენგა (ნორვეგია)** (0:0)
შახტარი (უკრაინა) 2:3 **დინამო (რუმინეთი)** (0:2)
**სლავია (ჩეხეთი)** 2:1 სარტიდი (სერბეთი) (2:1)
ვარდარი (მაკედონია) 1:1 **რომა (იტალია)** (0:4)
ჟილინა (სლოვაკეთი) 0:4 **უტრეხტი (ჰოლანდია)** (0:2)
**რუსენბორგი (ნორვეგია)** 6:0 ვენტსპილსი (ლატვია) (4:1)
პეტრჟალკა (სლოვაკეთი) 1:1 **ბორდო (საფრანგეთი)** (1:2)
**სტიაუა (რუმინეთი)** 1:0 საუთჰემპტონი (ინგლისი) (1:1)
ლინი (ნორვეგია) 0:3 **პაოკ (საბერძნეთი)** (1:0)
**მიოლდე (ნორვეგია)** 3:1 ლეირია (პორტუგალია) (0:1)
პუბლიკუმი (სლოვენია) 2:2 **მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი)** (1:2)
ტრაბზონი (თურქეთი) 2:3 **ვილიარეალი (ესპანეთი)** (0:0)
**სოშო (საფრანგეთი)** 2:0 მიუპა (ფინეთი) (1:0)
**ბაზელი (შვეიცარია)** 1:2დ.დ.(0:2) მალათია (თურქეთი) (2:0)
**კოპენჰაგენი (დანია)** 1:1დ.დ.(3:2პენ. 1:1) ფერენცვაროში (უნგრეთი) (1:1)
მალმიო (შვედეთი) 0:1 **სპორტინგი (პორტუგალია)** (0:2)
მტკ (უნგრეთი) 0:0 **დინამო (ხორვატია)** (1:3)
ბრედა (ჰოლანდია) 0:1 **ნიუკასლი (ინგლისი)** (0:5)
ქსამაქსი (შვეიცარია) 0:1 **ოსერი (საფრანგეთი)** (0:1)
**ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)** 4:3 ოდენსე (დანია) (2:2)
ჟელეზნიჩარი (ბოსნია) 0:0 **ჰართსი (შოტლანდია)** (0:2)
**დორტმუნდი (გერმანია)** 1:0 აუსტრია (ავსტრია) (2:1)
ლოკერენი (ბელგია) 0:1 **მანჩესტერ სიტი (ინგლისი)** (2:3)
ნაიმეგენი (ჰოლანდია) 1:2 **ვისლა (პოლონეთი)** (1:2)
**ლანსი (საფრანგეთი)** 5:0 ცემენტარნიცა (მაკედონია) (1:0)
უდინეზე (იტალია) 1:2 **ზალცბურგი (ავსტრია)** (1:0)
**ლივერპული (ინგლისი)** 3:0 ოლიმპია (სლოვენია) (1:1)
**მალიორკა (ესპანეთი)** 4:2 აპოელი (კვიპროსი) (2:1)
ბლექბერნი (ინგლისი) 1:1 **გენჩლერი (თურქეთი)** (1:3)
**ბარსელონა (ესპანეთი)** 8:0 პუხოვი (სლოვაკეთი) (1:1)
**ვალენსია (ესპანეთი)** 1:0 აიკ (შვედეთი) (1:0)
**ბენფიკა (პორტუგალია)** 1:0 ლუვიე (ბელგია) (1:1)

## ჯელალეტინ ჯალალედინი
## რატომ არ გვინდოდა ბარსელონა

„ძალიან კარგად ვიცი, ჩემმა გუნდმა როგორ უნდა ითამაშოს — თქვა ფრანკ რაიკარდმა მატჩამდე — ჩვენი სურვილი „პუხოვის“ განადგურებაა. კლასში განსხვავება აშკარაა და სხვაობა ანგარიშში გამოჩნდება“.

ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც ჰოლანდიელის სურვილი ახდა. სლოვაკურ გუნდთან ორჯერ (0:3) დამარცხებული ბოლნისის „სიონი“ აშკარად გადარჩა. ზოგჯერ თურმე დასაწყისშივე გამოთიშვა სჯობს, შემდგომში შერცხვენას.

„ბარსელონას“ ამ სეზონში „კამპ ნოუზე“ თამაში არ მოეგო. კატალონიელებმა მოიგეს ისე, რომ მეტოქესაც და მასპინძელთა გულშემატკივრებსაც სამუდამოდ დაამახსოვრდებათ.

ძირითად შემადგენლობაში იყო კაცი, რომლის თამაშიც საეჭვო გახლდათ, მაგრამ რონალდინიომ მინდორი დასერა და სამი გოლი მიითვალა. ეს მისი პირველი ბარსელონური ჰეთ თრიქი გამოდგა.

პირველ ტაიმში ბრაზილიელმა სლოვაკები ორჯერ დაამწუხრა. შესვენებამდე მესამე გოლი ტიაგო მოტამ შეაგდო. მეორე ნახევარში კი „პუხოვის“ დასამარება კვლავ რონალდინიომ დაიწყო და თანაგუნდელებმაც მხარი აუბეს. ლუის ენრიკემ და ხავიერ სავიოლამ წყვილად გაიტანეს.

ბლექბერნში ინგლისელი და თურქი გულშემატკივრების დასამეგობრებლად დიდი შრომა გასწიეს. მასპინძლებმა ოსმალოთა დელეგაციას სუფრა გაუშალეს. მატჩამდე „ბლექბერნის“ ქომაგთა გუნდი „გენჩლერბირლიგის“ გულშემატკივრებს შეხვდა და დამხვდურებმა 5:3 იმარჯვეს. მასპინძელთა სამწუხაროდ, მთავარი თამაში ფრედ დამთავრდა და შემდეგ ეტაპზე ანკარელები გავიდნენ. ორივე გოლი შეხვედრის მეორე ტაიმში გავიდა. მეტ იანსენმა ემერტონის პასით „ბლექბერნი“ დააწინაურა, მაგრამ მუსტაფა ოზქანმა უმალ გაათანაბრა და შეხვედრაც ასე დასრულდა.

„ტრაბზონსფორს“ კლუბის პრეზიდენტისგან შეპირებულმა 150 ათასმა დოლარმაც ვერ უშველა. „ავნი აკერზე“ პირველი გოლი მეორე ტაიმის შუაწელში ბრაზილიელმა სონი ანდერსონმა გაიტანა. მასპინძლები ამის შემდეგ გამოცოცხლდნენ, მაგრამ ხოსე მარიმ ხუან რომან რიკელმეს პასი შეირგო და დამხვდურებს მეორედ ასიამოვნა.

ქომაგთა შეძახილებით გამხნევებულმა „ტრაბზონმა“ ორბურთიანი სხვაობა გააბათილა და თითქოს უკეთეს ვითარებაშიც აღმოჩნდა. გიოკდენიზ კარადენიზმა და ფათიჰ აკიელმა ათ წუთში წყვილად გაიტანეს. 2:2-ის შემდეგ „შავი ზღვის ქარიშხალმა“ კიდევ უფრო გააფთრებით შეუტია, მაგრამ კონტრშეტევა და ხოსე მარიმ თურქთა იმედი დაასამარა.

შინაურ ჩემპიონატში ზედიზედ თამაშების მომგები „ბაზელი“ კინაღამ უსახელო თურქულმა „მალათიამ“ იმსხვერპლა. შვეიცარიელებმა პირველი ტაიმი გადააგორეს და მეორესაც არხეინად შეხვდნენ, მაგრამ ჯელალეტინ ლოჩაკმა ერთი რომ გაუტანა, მასპინძლები აფორიაქდნენ. შეხვედრის მიწურულს შეტევით გართული ბაზელელები კონტრშეტევაზე გამოიჭირეს და ჯელალეტინმა 84-ე წუთზე მეორე გოლი მიითვალა.

მატჩი დამატებით დროში გაიწელა და იქ უკვე თურქებმა თავისი გამარჯვებისა ვერ იწამეს. მარკო სტრელერის ვერცხლის გოლმა „მალათია“ იმსხვერპლა.

ნიგერიელმა ჯულიუს აგაოვამ დონეცკის „შახტარი“ ორჯერ დააწინაურა, მაგრამ რუმინელებმა გათანაბრება შეძლეს და შეხვედრის მიწურულს გამარჯვების გოლიც გაიტანეს.

აგაოვას ანგარიშის გახსნა მესამე წუთზევე შეეძლო. ნიგერიელმა რუმინელთა მეკარე დელვარტეს ორთაბრძოლაში აჯობა და ცარიელი კარისკენ ბურთიც გაგზავნა, მაგრამ მიზანმა უღალატა.

ამ მომენტიდან 15 წუთში ანდრეა ვორობეიმ მარჯვენა ფლანგიდან კარის წინ ჩააწოდა. ბურთი ძელს მოხვდა და უკან დაბრუნებულს აგაოვა დაუხვდა და გაიტანა.

მასპინძლები გამსახურებულად დაწინაურდნენ, მაგრამ ნიკულესკუმ მალევე გაათანაბრა. მეორე გოლის გასატანად მომართულ დონეცკელებს რუმინელთა კონტრაიერიში გაეპარათ და ნიკულესკუმ გაქვითა.

შესვენებამდე წუთით ადრე ნიგერიელმა აგაოვამ „შახტარი“ კვლავ დააწინაურა. მეორე ტაიმში მასპინძლები მოდუნდნენ და ბუქარესტელ სტუმრებს ადგილი დაუთმეს. მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე მარიცამ ორბურთიანი სხვაობა გაქვითა, ხოლო დანჩულესკუმ 30-იოდე მეტრიდან უზუსტესი დარტყმით ბუქარესტის „დინამოს“ გამარჯვება დაადასტურა.



„ბორდოს“ საძეთილდლეოდ მზად ვარ: სლოვაკურ „პეტრჟალკას“ ჟან-კლოდ დარშევილმაც გაუტანა

**ვაჟა ხუციშვილი**



ბლექბერნი — გენჩლერი. ინგლისელი მეტ იანსენის საგოლე დარტყმა



# ბილი არ ბერდება
## არ გავცვლი მე ჩემს შავ-წითელს

**კვირა** საღამოს გადაჭედილი „სან სირო“ ნამდვილად მხურვალე აპლოდისმენტებით და ოვაციით შეეგებება თავის ყოფილ კერპს. გასახდელის გვირაბიდან გამოსული ფეხბურთელებიდან ერთს საშინლად აუჩქროლდება გული...

დიახ, კვირას იტალიის სერია A-ს მორიგი ტურის ცენტრალური მატჩია, „მილანი“ — „ლაციო“ და 32 წლის დემეტრიო ალბერტინიზე მოგახსენებთ, რომელიც „როსონერის“ ხელმძღვანელობამ სეზონის დაწყების წინ რომაელებს ჯუზეპე პანკაროში გაუცვალა.

„დადგინდა თუ არა კალენდარი, კომპიუტერში მაშინვე „მილანთან“ შეხვედრების ძებნა დავიწყე. მას მერე ჩავიბეჭდე გონებაში 19 ოქტომბერი. მოახლოვდა ეს დღეც და ვერც წარმოიდგენთ, რას განვიცდი“ — „კორიერე დელო სპორტის“ ჟურნალისტთან საუბარში დემეტრიო ალბერტინის თურმე კურცხალიც კი ჩამოვარდნია თვალზე.

პაოლო მალდინი, ალესანდრო კოსტაკურტა და დემეტრიო ალბერტინი... ეს იმ დიდი „მილანის“ სამეულია, ფეხბურთის თამაშს დღემდე რომ აგრძელებს. ტრიო ორი წლის წინ დაიშალა, კარლო ანჩელოტიმ, „როსონერის“ თავკაცმა, საყრდენი ნახევარმცველობა ახალგაზრდა ანდრეა პირლოს დაავალა და „დემისთვისაც“ ძირითადის კარი მიიხურა. ერთი სეზონით მადრიდის „ატლეტიკოში“ გაანათხოვრეს. დამთავრდა შარშანდელი სეზონი, ამოიწურა იჯარის ვადა და ალბერტინიც მშობლიურ კლუბში დაბრუნდა, მაგრამ... არ გავაგრძელებთ, რც მოხდა, ზემოთაც გითხარით.

ერთი სიტყვით, ალბერტინი მილანში, თავის ქალაქში ბრუნდება და: „რამდენიმე წლის წინ ჩემთვის რომ ეთქვათ, „მილანის“ წინააღმდეგ თუ ითამაშებდიო, გავვოცდებოდი, ფიქრადაც არ მომივიდოდა, წარმოუდგენელი გახლდათ. თუმცა ახლა, ჩემდა სამწუხაროდ, ეს რეალობაა. კარიერის დასრულება სწორედ რომ „მილანში“ მსურდა, ჩემს ყოფილ თანაგუნდელებთან და ახლო მეგობრებთან, მაგრამ, რაც მთავარია, კვირას მე რევანშზე არც ვიფიქრებ, ბოლმა კაცი ნამდვილად არ ვარ. მოწინააღმდეგედ განსაკუთრებით ვის არ ვისურვებდი? რა თქმა უნდა, ანდრეა პირლოს“ — ხუმრობანარევი ღიმილით განუცხადა იმავ „კორიერე დელო სპორტის“ ჟურნალისტს ყოფილმა მილანელმა.

პირლო გულზე არ მეხატებაო და ახლა უკვე ანდრეას მიადგნენ ჟურნალისტები — ხომ ნახე რა თქვა ალბერტინიმო. „მილანის“ საყრდენმაც უპასუხა: „ჩვენს შორის წმინდა საფეხბურთო დუელი რომ იქნება, ფაქტია. მადლობა მწვრთნელსა და ხელმძღვანელობას, ჩემსა და დემის შორის არჩევანი ჩემს სასარგებლოდ რომ გააკეთა, თუმცა ალბერტინის ამაგი ნამდვილად არ დამვიწყებია. იმ ერთადერთ სეზონში) რომელიც ერთად გავატარეთ, მისგან ბევრი რამ ვისწავლე. დემეტრიო პროფესიონალი და ჩემი კარგი მეგობარია და ერთმანეთს ჩინებულად ვუგებთ“.

მეგობარი არც მხცოვანმა ალესანდრო კოსტაკურტამ დაივიწყა. 38 წლის ბილიმ გუშინ დილით დაურეკა, მთელი ორი საათი ტელეფონით ყველაფერზე დაწვრილებით ისაუბრეს, გარდა... გარდა, მოახლოებული მატჩისა. საუბარში თურმე ისე გართულან, ბოლოს ალბერტინის ხუმრობით უთქვამს, ბილი, ყურადღებით იყავი, ხომ იცი, ახლა „ლაციოს“ საწვრთნელ ბაზაზე, „ფორმელოში“ ვარ და ყველაფერს ნუ მიკაკლავო. გულიანი ხარხარის შემდეგ კოსტაკურტა ასე გამოემშვიდობა მეგობარს: „დემი, თავად იცი, „სან სიროზე“ რაც გელის. შენ ხომ „მილანის“ ისტორია ხარ“.

კეთილი. ალბერტინიზე ლაპარაკს აქ დავუსვათ წერტილი და ახლა იმაზე ვთქვათ, თუ რას განიცდიან „მილანის“ მცველები — ალესანდრო ნესტა და ჯუზეპე პანკარო, ორივე ხომ თავის დროზე „ბიანკოჩელესტეს“ ღირსებას იცავდა.

სანდრო ნესტა: „ლაციო“ კონტრშეტევების დიდოსტატია. რობერტო მანჩინის ძალიან სწრაფი და ჩინებული ფეხბურთელები ჰყავს, ჩვენთვის უმთავრესი სწორედ ის იქნება, რომ მათ ანკესზე არ წამოვეგოთ. რას ნიშნავს ჩემთვის „ლაციო“? ძალიან ბევრს, მაგრამ ახლა ეს არაა მთავარი, მე „მილანის“ ფეხბურთელი ვარ, ერთგულება და სიყვარული „როსონერის“ შევფიცე და ამით ყველაფერია ნათქვამი“.

ჯუზეპე პანკარო: „ლაციო“ ფრთხილად იყოს, ჩვენ ძალიან ძლიერები ვართ. აქაურობას კი ისე შევეჩვიე, ასე მგონია, მთელი ცხოვრება „მილანში“ ვთამაშობდი. ერთი სიტყვით, თანაგუნდელების, ხელმძღვანელობის და ტიფოზების მხურვალე მხარდაჭერის წყალობით ადაპტაცია არ გამჭირვებია“.

**გიორგი გუგაძიძე**



დემეტრიო ალბერტინის (მარცხნივ) „სან სირო“ ფეხზე ოვაციით დახვდეს

# საქმე ტრაპისკენ მიდის

**იტალიელი** ანდრეა პირლო ევრო 2004-ზე იტალიის ნაკრებში თამაშზე ოცნებობს.

„ვოცნებობ პორტუგალიაში თამაშზე — განაცხადა პირლომ „მილანის“ საინტერნეტო ვებ-გვერდზე, — მაგრამ ცხადად მესმის, რომ თუ იქ მოხვედრა მინდა, უპირველეს ყოვლისა „მილანში“ უნდა ვითამაშო კარგად. იმედი მაქვს, რომ ტრაპი (იტალიის ნაკრების მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი) მიმიწვევს, თუმცა ისიც კარგად ვიცი, რომ ფეხბურთელები, რომლებიც ნაკრებში ჩემს პოზიციაზე თამაშობენ, ძლიერები არიან“.

ცნობისთვის: ეს ფეხბურთელები გახლავან კრისტიანო ძანეტი, ჯენარო გატუზო და სიმონე პეროტა.

„და მაინც, მე თამაშს ვაუმჯობესებ“, - ამბობს პირლო, — მეტ და მეტ გამოცდილებას ვიძენ და ძველებურად ბევრ შეცდომას აღარ ვუშვებ“.

ხოლო ზემოხსენებული ტრაპი თურმე ნუ იტყვით და... „ინტერის“ მომავალი მწვრთნელობის კანდიდატია. ბუნებრივია, თუ ეს მოხდება, მხოლოდ 2004 წლის ზაფხულის მერე, ანუ ევროპის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ.

ტრაპატონიზე მეტად, „ინტერის“ პრეზიდენტს, მასიმო მორატის, ამ თანამდებობაზე „ლაციოს“ თავკაცის რობერტო მანჩინის ან ინგლისის ნაკრების მწვრთნელის, სვენ გორან ერიკსონის მიწვევა სურდა, მაგრამ ცხადია, რომ ეს უტოპიაა.

და ისევ ცნობისთვის: 1989 წელს „ინტერს“ ბოლო სკუდეტო სწორედ დონ ტრაპმა მოაპოვებინა.

**ბაპუნა ძიძია**



ზინედინ ზიდანმა თანაქალაქელები დაზაფრა და პორტუგალიელები გააცოფა

# ზიდანი ჩაიჭრა

**ჩემპიონთა** ლიგის კენჭისყრამ მადრიდის „რეალს“ და „მარსელს“ ერთი ჯგუფი არგუნა. ამჟამად რეალელმა ზინედინ ზიდანმა კარიერა მარსელში დაიწყო და სამხრეთელთა დიდი გულშემატკივარია.

„რეალმა“ ჩეპიონთა ლიგაში ზედიზედ ორი მატჩი მოიგო და შესაძლოა, ჯგუფური ტურნირის დასრულებამდე ტურით ადრე პირველი ადგილი გაინაღდოს.

ასეთ შემთხვევაში ბოლო ტურში მადრიდელთა სტუმრობა მარსელში შესაძლოა, ქულების დაგროვების მხრივ უაზრო აღმოჩნდეს და „სამეფო კლუბს“ საფრანგეთში ჩასვლა მოვალეობის მოხდის მიზნით მოუწიოს.

გასულ პარასკევს ამის თაობაზე ზინედინ ზიდანის ფრანგული რადიო შეეხმიანა. ფრანგმა მშობლიურ რადიოსთან ინტერვიუში განაცხადა: „მარსელში ბოლო ტურში ჩასვლის წინ „რეალს“ ალბათ ჯგუფიდან გასვლისთვის საჭირო ქულები დაგროვებული ექნება. თუ საშუალება მექნება, რომ მარსელში ბოლო მატჩში არ ვითამაშო, გამოვიყენებ. „ველოდრომზე“ გასვლა თუ არ ამცდება, მარსელელთა წინააღმდეგ, თავს ძალიან არ შევიწუხებ. მე „მარსელის“ გულშემატკივარი ვარ და ყოველთვის მისი ერთგული ვიქნები“.

ეს ინტერვიუ პორტუგალიური „პორტუს“ ბოსებმაც მოისმინეს და უეფაში ჩივილი დააპირეს. „ჩემპიონთა ლიგის მატჩი ყველასათვის სამაგალითო უნდა იყოს. ამიტომ უეფას ვთხოვთ, ზიდანის ნათქვამი გამოიკვლიოს“ — განაცხადა „პორტუს“ პრეზიდენტმა პინტუ და კოშტამ.

**ვაჟა ხუციშვილი**



# აბრამოვიჩის მორიგი სამიზნე უეინ რუნი



**„ჩელსი“** 35 მილიონ გირვანქად ვუნდერკინდად წოდებულ უეინ რუნის ყიდვას აპირებს. ამბობენ, ლონდონელთა წარმომადგენლებმა „ევერტონის“ ხალხს ამ თემაზე საუბარი უკვე ჩამოუგდესო. თუ 18 წლის რუნი, ამ ტრანსფერს დაყაბულდება, ბრიტანეთის სატრანსფერო რეკორდსაც დაამყარებს და კვირაში 40 ათასს, თუ ამ თანხაზე რაღაცით მეტსაც მიიტანს შინ.

ეს ცნობა „ევერტონის“ ქომაგთათვის ცხადია საშინელებაა, მაგრამ მეორე მხრივ საკუთრივ კლუბმა რა უყოს 35 მილიონიან ვალს? დიახ, რუნი ბავშვობიდან „ევერტონს“ ქომაგობს და ის 20 ათასსაც იღებს, ოღონდ ყველასთვის ცხადია (და უპირველეს ყოვლისა, მისთვის უნდა იყოს ცხადი), რომ „ჩელსის“ ახალი მეპატრონე, რუსი ოლიგარქი რომან აბრამოვიჩი თეორიულად, გაცილებით მეტის გადამხდელია.

„უეინ რუნი ფანტასტიკური ფეხბურთელია, რომელსაც მოედანზე ყველაფერი ხელეწიფება. იგი პანტერასავით დარბის“ — უთქვამს ევერტონელის შესახებ „ჩელსის“ იტალიელ მწვრთნელ კლაუდიო რანიერის.

ოფიციალურად, „ჩელსი“ იანვრამდე ხმას ვერ ამოიღებს — სატრანსფერო ფანჯარა ამ დროს იღება — მაგრამ „ევერტონის“ მენეჯერის, დევიდ მოიესის ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ მოქცევა, ბუნებრივია, ამწუთიდანვე შესაძლებელია.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ უეინ რუნის „ჩელსის“ გარდა, „მილანის“ საქმეთა გამრიგე ადრიანო გალიანიც ეკურკურება.

**პაპუნა ქედია**

# ნუ შეაფურთხებთ მთვარეს... მოგხვდებათ!

**ალფაიმ** დევიდ ბექემს ცილად თურქეთის ნაკრების სამკერდე ნიშანზე მიფურთხება დასწამა. კიდევ, თურქმა (და ბირმინგემის „ასტონ ვილას“) ფეხბურთელმა განაცხადა, რომ ბექემმა შაბათს, თურქეთ-ინგლისის შესარჩევი მატჩის დროს თავი უთავაზა — ჩვენებურად ურქინა. თუმცა, ჩვენთვის, ისევე, როგორც მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია სატელევიზიო კადრი, როდესაც ალფაი რქენს ინგლისელს და არა ინგლისელი ალფაის. მოგეხსენებათ, შესვენებისას ალფაიმ ბექემს მუშტი-კრივიც აუტეხა, რის გამოც სტამბოლის სტადიონის გასახდელში 50-კაციანი ჩხუბი ატყდა.

თუმცა, ალფაიმ ინტერვიუ „აი სპორტს“ მისცა და ასე განაცხადა:

„უპირველესად, ბექემმა მირქინა და შემდეგ, შემაფურთხა. თან მან ჩემს მაისურზე ამოქარგულ ვარსკვლავსა და ნახევარმთვარეს შეაფურთხა, რის გამოც პასუხის გაცემის სურვილი განსაკუთრებით გამიმძაფრდა. აი, ეს იყო ჩემი გაცხარების ერთადერთი მიზეზი“.



ალფაი ოზალანი ბრიტანელებს ჯერაც ემალება

ალფაიმ „ასტონ ვილაში“ უკვე ივარჯიშა, თუმცა მწვრთნელს, დევიდ ოლირის ესაუბრა და ამჯობინა რამდენიმე დღიანი დასვენება კიდევ აელო. ამბობენ, თურქთა თავკაცმა, შენოლ გიუნეშმა იგი ლატვიასთან მომავალი თვის საპლეიოფო შეხვედრაში, ნაკრების წევრთა სიაში არ ჩაწერაო.

**პაპუნა ქედია**

## იტალია

### სერია B. IX ტური

**ასკოლი 2:1 ვენეცია**
1:0 ფონტანა (30პ), 2:0 ინაჩიო პია (39), 2:1 ისლასი (80)

**ატალანტა 1:0 პესკარა**
1:0 გაუტიერი (60)

**ჯენოა 4:2 ალბინოლეფე**
1:0 ბიელანოვიჩი (33), 1:1 გორძენო (48), 2:1 როსი (56), 2:2 პოლონი (69), 3:2 ზე ელიასი (73), 4:2 კაჩა (84)

**ლივორნო 1:1 ბარი**
0:1 მარკიჩი (62), 1:1 მეტეინი (85)

**მესინა 2:0 პიაჩენცა**
1:0 ძანიოლო (28), 2:0 რეზაეი (50)

**პალერმო 2:0 ფიორენტინა**
1:0 კორინი (29პ), 2:0 დი დონატო (33)

**სალერნიტანა 1:0 აველინო**
1:0 ბოგდანი (24)

**ტერნანა 3:1 კატანია**
1:0 ფრიკი (8), 1:1 ოლივეირა (24), 2:1 ფრიკი (90), 3:1 ხიმენესი (90)

**ტორინო 4:2 კალიარი**
1:0 ფაბრინი (5), 2:0 ფერანტე (34), 3:0 კონტიკიო (66), 4:0 პინგა (72პ), 4:1 ესპოზიტო (78), 4:2 ლანგელა (81)

**ტრევიზო 0:1 ნაპოლი**
0:1 ძანინი (62)

**ტრიესტინა 2:2 ვერონა**
1:0 მოსკარდელი (47), 1:1 პიზანუ (50), 2:1 გოდეაში (75პ), 2:2 ბიაზი (90)

**ვიჩენცა 0:1 კომო**
0:1 რასტელი (8)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატალანტა | 9 | 6 | 3 | 0 | 15:5 | 21 |
| ტერნანა | 9 | 6 | 1 | 2 | 14:8 | 19 |
| პალერმო | 9 | 5 | 3 | 1 | 11:6 | 18 |
| ლივორნო | 9 | 4 | 4 | 1 | 12:6 | 16 |
| ტორინო | 9 | 5 | 1 | 3 | 14:9 | 16 |
| კალიარი | 9 | 4 | 2 | 3 | 18:10 | 14 |
| კატანია | 9 | 4 | 2 | 3 | 14:12 | 14 |
| ასკოლი | 9 | 4 | 2 | 3 | 8:9 | 14 |
| ტრევიზო | 9 | 3 | 4 | 2 | 8:7 | 13 |
| პიაჩენცა | 9 | 3 | 4 | 2 | 8:8 | 13 |
| ტრიესტინა | 9 | 3 | 4 | 2 | 13:14 | 13 |
| ნაპოლი | 9 | 2 | 6 | 1 | 8:5 | 12 |
| ჯენოა | 9 | 3 | 2 | 4 | 9:10 | 11 |
| ალბინოლეფე | 9 | 3 | 2 | 4 | 11:13 | 11 |
| სალერნიტანა | 9 | 3 | 2 | 4 | 6:8 | 11 |
| პესკარა | 9 | 3 | 2 | 4 | 7:10 | 11 |
| ფიორენტინა | 9 | 2 | 4 | 3 | 7:8 | 10 |
| ვერონა | 9 | 2 | 4 | 3 | 13:15 | 10 |
| მესინა | 9 | 2 | 4 | 3 | 8:12 | 10 |
| ვიჩენცა | 9 | 1 | 5 | 3 | 7:9 | 8 |
| კომო | 9 | 2 | 2 | 5 | 6:13 | 8 |
| ვენეცია | 9 | 1 | 4 | 4 | 6:11 | 7 |
| ბარი | 9 | 1 | 3 | 5 | 10:15 | 6 |
| აველინო | 9 | 0 | 2 | 7 | 3:13 | 2 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

## ინგლისი

### I დივიზიონი. XIV ტური

**ქოვენთრი 1:0 უიმბლდონი**
1:0 პიდი (63)

**ვესტ ჰემი 1:1 ნორვიჩი**
1:0 ედვორთი (6ს.კ.), 1:1 კრუფი (63)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შეფილდი | 12 | 8 | 2 | 2 | 22:11 | 26 |
| უიგანი | 13 | 7 | 5 | 1 | 19:10 | 26 |
| ვესტ ბრომვიჩი | 12 | 8 | 1 | 3 | 19:12 | 25 |
| ვესტ ჰემი | 12 | 7 | 3 | 2 | 15:7 | 24 |
| სანდერლენდი | 12 | 7 | 2 | 3 | 18:10 | 23 |
| ნორვიჩი | 12 | 6 | 4 | 2 | 18:13 | 22 |
| იფსვიჩი | 13 | 6 | 2 | 5 | 23:18 | 20 |
| მილუოლი | 14 | 5 | 5 | 4 | 17:15 | 20 |
| პრესტონი | 12 | 6 | 1 | 5 | 16:13 | 19 |
| რედინგი | 12 | 5 | 3 | 4 | 18:14 | 18 |
| ნოტინგემი | 12 | 5 | 2 | 5 | 19:16 | 17 |
| ბარნლი | 13 | 5 | 2 | 6 | 20:25 | 17 |
| კარდიფი | 12 | 4 | 4 | 4 | 20:14 | 16 |
| ქოვენთრი | 11 | 4 | 3 | 4 | 16:16 | 15 |
| კრ. პალასი | 12 | 4 | 3 | 5 | 16:18 | 15 |
| სტოკი | 13 | 4 | 3 | 6 | 16:18 | 15 |
| დერბი | 13 | 3 | 5 | 5 | 14:20 | 14 |
| ქრიუ | 12 | 4 | 2 | 6 | 11:17 | 14 |
| უოლსოლი | 12 | 3 | 4 | 5 | 14:15 | 13 |
| ჯილინგემი | 13 | 3 | 4 | 6 | 13:22 | 13 |
| ბრედფორდი | 13 | 3 | 3 | 7 | 13:22 | 12 |
| როტერჰემი | 13 | 2 | 5 | 6 | 9:21 | 11 |
| უოტფორდი | 11 | 2 | 3 | 6 | 11:15 | 9 |
| უიმბლდონი | 12 | 1 | 1 | 10 | 13:28 | 4 |

## შვეიცარია

### სუპერლიგა. გადადებული მატჩი

**ციურიხი 0:2 იანგ ბოისი**
0:1 შაპუიზა (86), 0:2 ლეანდრო (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 13 | 13 | 0 | 0 | 43:10 | 39 |
| სერვეტი | 13 | 7 | 4 | 2 | 28:21 | 25 |
| იანგ ბოისი | 13 | 8 | 1 | 4 | 24:18 | 25 |
| აარაუ | 13 | 5 | 4 | 4 | 20:19 | 19 |
| სენტ გალენი | 13 | 4 | 4 | 5 | 19:22 | 16 |
| ქსამაქსი | 13 | 4 | 2 | 7 | 17:21 | 14 |
| თუნი | 13 | 3 | 5 | 5 | 15:26 | 14 |
| გრასჰოპერი | 13 | 4 | 1 | 8 | 18:28 | 13 |
| ვილი | 13 | 2 | 3 | 8 | 18:32 | 9 |
| ციურიხი | 13 | 2 | 2 | 9 | 17:22 | 8 |

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. გადადებული მატჩი

**ტამპერე 0:0 კტპ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიკ | 24 | 15 | 6 | 3 | 44:14 | 51 |
| ჰაკა | 23 | 15 | 5 | 3 | 50:14 | 50 |
| ტამპერე | 24 | 12 | 5 | 7 | 33:19 | 41 |
| მიუპა | 23 | 11 | 4 | 8 | 42:28 | 37 |
| ალიანსი | 24 | 10 | 6 | 8 | 42:37 | 36 |
| ლაჰტი | 24 | 9 | 8 | 7 | 34:29 | 35 |
| ინტერი | 24 | 9 | 5 | 10 | 41:38 | 32 |
| ტურკუ | 24 | 8 | 8 | 8 | 28:28 | 32 |
| იარო | 24 | 8 | 8 | 8 | 32:34 | 32 |
| ჯაზი | 24 | 6 | 7 | 11 | 28:51 | 25 |
| ჰამენლინა | 24 | 6 | 7 | 11 | 22:45 | 25 |
| იოკერიტი | 24 | 6 | 6 | 12 | 25:36 | 24 |
| კტპ | 24 | 6 | 3 | 15 | 27:48 | 21 |
| კუოპიო | 24 | 4 | 6 | 14 | 24:51 | 18 |

## ამხანაგური მატჩი

**ურუგვაი 2:0 მექსიკა**
1:0, 2:0 პერონე (27, 65)

სამკურნალო გაერთიანება
„ლიგა“
დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე
სექსოპათოლოგიის კლინიკა
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21
ვაქცინაციის ცენტრი
- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები)
დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ
თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით
ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები...
სპორტული ატრიბუტიკა: დროშები, ვიმპელები...
საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი
ვაჟა ფშაველას 91. 53-76-82 899 56-18-49



# პაოლო მალდინი: ნუ დამაძალებთ!

**გუშინდელ** „სარბიელში" იტალიის ნაკრების მწვრთნელ ჯოვანი ტრაპატონის გულისნადები გაუწყეთ, დონ ტრაპს პორტუგალიაში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე სათამაშოდ ლეგენდარული მცველის, „მილანის" კაპიტნის პაოლო მალდინის დაყოლიება სურსო.

ტრაპატონი მალდინის ჯერ შეეხმიანა, მერე პირადადაც ისაუბრეს და მხცოვან მწვრთნელს იმედი გაუჩნდა, ეგებ დაბრუნდესო, მაგრამ...

გუშინ პაოლო მალდინიმ ოფიციალურად დაადასტურა, რომ მიუხედავად ტრაპატონის პატივისცემისა, „სკუადრა აძურაში" დაბრუნება, უბრალოდ, არ შეუძლია.

„როსონერის" 35 წლის კაპიტანმა თქვა: „ევროპის ჩემპიონის ოქრო ჩემს ტიტულებს კიდევ უფრო გაამრავლებდა და საამაყოც მექნებოდა, თუმცა რაც ერთხელ ვთქვი, იმის გადათქმას არ ვაპირებ. „სკუადრა აძურას" ვეთაყვანები, მაგრამ მერწმუნეთ, არ შემიძლია. ნაკრები სულ სხვა დონე და სახელია, თანაც უკვე „ბებერი ვარ" — „კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტთან საუბარში მალდინიმ იხუმრა კიდეც.

ერთი სიტყვით, ჯოვანი ტრაპატონის დაცვის მარცხენა ფლანგზე კვლავაც იუვენტუსელი ჯანლუკა ძამბროტას იმედი უნდა ჰქონდეს. ეგებ, მანამდე ინტერელი ფრანჩესკო კოკოც გამოჯანმრთელდეს...

შეგახსენებთ, პაოლო მალდინი იტალიის ნაკრებს კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გამოეთხოვა. იგი „სკუადრა აძურას" რეკორდსმენია — ცისფერი მაისურა ხომ 126-ჯერ მოირგო.

**გიორგი მუშაძიძე**

# რაიკარდის რონინი

*იცნობდეთ — რონალდინიო, კატალონური „ბარსელონას" და მთელი ფეხბურთის ვარსკვლავი. კაცი, რომელმაც „კამპ ნოუზე" ამ სეზონში მშობლიური გუნდის გამარჯვებადანატრებულ ინჩასებს ფიესტა მოუწყო და ენითაუწერელი საფეხბურთო სიხარული აგრძნობინა. მომგებიანი ჰეთ თრიქით პუხოვის „მატადორის" დამწიოკებელ „ბრაზილიელს" ესპანური „ლიბრედირექტის" ჟურნალისტები გაესაუბრნენ*

— პირველი მოგება „კამპ ნოუზე". როგორ გრძნობთ თავს ყოველივე ამის შემდეგ?

— გადასარევად! ყველაფერი „ბარსას" და ჩემს სასარგებლოდ დასრულდა, თან გაცილებით უფრო კარგად, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო.

— ადრე თუ შეგისრულებიათ ჰეთ თრიქი?

| 24.00 | 5439 | ბლექბერნი-ჩარლტონი | 1,65 | 2,3 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.00 | 5002 | ლიდსი-მანჩესტერი | 5,0 | 2,2 | 2,1 | 1,52 | 1,47 | 1,07 |
| 19.00 | 5003 | არსენალი-ჩელსი | 2,7 | 2,1 | 3,5 | 1,18 | 1,52 | 1,31 |
| 19.00 | 5004 | ფულემი-ვულვერჰემპტონი | 1,9 | 2,3 | 5,6 | 1,04 | 1,41 | 1,63 |
| 19.00 | 5005 | სიტი-ბოლტონი | 2,0 | 2,2 | 5,6 | 1,04 | 1,47 | 1,57 |
| 19.00 | 5006 | მიდლსბრო-ნიუკასლი | 3,0 | 2,1 | 3,2 | 1,23 | 1,54 | 1,26 |
| 19.00 | 5007 | პორტსმუთი-ლივერპული | 4,4 | 2,05 | 2,4 | 1,39 | 1,55 | 1,1 |
| 18.30 | 5008 | ჰერტა-ლევერკუზენი | 3,0 | 2,1 | 3,2 | 1,23 | 1,54 | 1,26 |
| 18.30 | 5009 | ვერდერი-შტუტგარტი | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 18.30 | 5010 | კიოლნი-ფრაიბურგი | 2,8 | 2,1 | 3,4 | 1,19 | 1,53 | 1,29 |
| 18.30 | 5011 | ვოლფსბურგი-ჰანზა | 2,0 | 2,3 | 5,0 | 1,06 | 1,42 | 1,57 |
| 18.30 | 5012 | მიუნხენი-აინტრახტი | 2,05 | 2,25 | 5,0 | 1,07 | 1,45 | 1,55 |
| 18.30 | 5013 | დორტმუნდი-ჰანოვერი | 1,85 | 2,4 | 5,3 | 1,04 | 1,37 | 1,65 |
| 18.30 | 5014 | მიონხენგლადბახი-ბაიერნი | 5,0 | 2,3 | 2,0 | 1,57 | 1,42 | 1,06 |
| 21.00 | 5015 | ბრეშა-ინტერი | 4,6 | 2,05 | 2,35 | 1,41 | 1,55 | 1,09 |
| 23.30 | 5016 | ანკონა-იუვენტუსი | 5,6 | 2,7 | 1,7 | 1,82 | 1,3 | 1,04 |
| 22.30 | 5017 | სელტა-რეალი | 4,8 | 2,1 | 2,25 | 1,46 | 1,53 | 1,08 |
| 00.30 | 5018 | ალბასეტე-სოსიედადი | 4,4 | 2,05 | 2,4 | 1,39 | 1,55 | 1,1 |
| 00.30 | 5019 | ბარსელონა-დეპორტივო | 2,7 | 2,1 | 3,5 | 1,18 | 1,52 | 1,31 |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.00 | 5020 | ბირმინგემი-ასტონ ვილა | 2,6 | 2,05 | 3,8 | 1,14 | 1,54 | 1,33 |
| 18.00 | 5021 | ლესტერი-ტოტენჰემი | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |
| 20.05 | 5022 | ევერტონი-საუთჰემპტონი | 2,4 | 2,1 | 4,2 | 1,12 | 1,52 | 1,4 |
| 20.30 | 5023 | შალკე-ბოხუმი | 2,1 | 2,2 | 5,0 | 1,07 | 1,47 | 1,52 |
| 20.30 | 5024 | კაიზერსლაუტერნი-ჰამბურგი | 2,45 | 2,1 | 4,0 | 1,13 | 1,51 | 1,37 |
| 18.00 | 5025 | ბოლონია-პერუჯა | 2,15 | 2,15 | 5,0 | 1,07 | 1,5 | 1,5 |
| 18.00 | 5026 | კიევო-სამპდორია | 2,25 | 2,1 | 4,8 | 1,08 | 1,53 | 1,46 |
| 18.00 | 5027 | მოდენა-ლეჩე | 2,2 | 2,1 | 5,0 | 1,07 | 1,52 | 1,47 |
| 18.00 | 5028 | რეჯინა-სიენა | 2,6 | 2,05 | 3,8 | 1,14 | 1,54 | 1,33 |
| 18.00 | 5029 | რომა-პარმა | 2,05 | 2,2 | 5,3 | 1,06 | 1,47 | 1,55 |
| 18.00 | 5030 | უდინეზე-ემპოლი | 1,8 | 2,35 | 6,0 | 1,01 | 1,38 | 1,68 |
| 23.30 | 5031 | მილანი-ლაციო | 2,25 | 2,05 | 5,0 | 1,07 | 1,55 | 1,45 |
| 20.00 | 5032 | რასინგი-მალაგა | 2,4 | 2,05 | 4,4 | 1,1 | 1,55 | 1,39 |
| 20.00 | 5033 | სარაგოსა-ვალიადოლიდი | 2,4 | 2,05 | 4,4 | 1,1 | 1,55 | 1,39 |
| 20.00 | 5034 | ვალენსია-ესპანიოლი | 1,45 | 3,3 | 7,5 | 1 | 1,21 | 2,29 |
| 20.00 | 5035 | ბილბაო-ვილიარეალი | 2,45 | 2,05 | 4,2 | 1,11 | 1,54 | 1,37 |
| 22.00 | 5036 | ოსასუნა-მურსია | 2,1 | 2,15 | 5,3 | 1,06 | 1,5 | 1,52 |
| 22.00 | 5037 | ატლეტიკო-მალიორკა | 2,4 | 2,1 | 4,2 | 1,12 | 1,52 | 1,4 |
| 00.30 | 5038 | სევილია-ბეტისი | 2,9 | 2,05 | 3,4 | 1,2 | 1,56 | 1,27 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 24.00 | 5039 | ბლექბერნი-ჩარლტონი | 2,35 | 2,1 | 4,4 | | | |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 ოქტომბერი** | | | | | | | | | |
| 16.00 | 5102 | ლიდსი-მანჩესტერი | 7,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,6 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,3 |
| 19.00 | 5103 | არსენალი-ჩელსი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 19.00 | 5104 | ფულემი-ვულვერჰემპტ. | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 19.00 | 5105 | სიტი-ბოლტონი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 19.00 | 5106 | მიდლსბრო-ნიუკასლი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 19.00 | 5107 | პორტსმუთი-ლივერპ. | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 18.30 | 5108 | ჰერტა-ლევერკუზენი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 18.30 | 5109 | ვერდერი-შტუტგარტი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 18.30 | 5110 | კიოლნი-ფრაიბურგი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 18.30 | 5111 | ვოლფსბურგი-ჰანზა | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 18.30 | 5112 | მიუნხენი-აინტრახტი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 18.30 | 5113 | დორტმუნდი-ჰანოვერი | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.30 | 5114 | მ.გლადბახი-ბაიერნი | 7,5 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,8 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,3 |
| 21.00 | 5115 | ბრეშა-ინტერი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,9 |
| 23.30 | 5116 | ანკონა-იუვენტუსი | 11,0 | 11,0 | 22,0 | 12,0 | 4,6 | 3,5 | 25,0 | 12,0 | 1,9 |
| 22.30 | 5117 | სელტა-რეალი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 00.30 | 5118 | ალბასეტე-სოსიედადი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 00.30 | 5119 | ბარსელონა-დეპორტივო | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | | | | |
| 16.00 | 5120 | ბირმინგემი-ა.ვილა | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 18.00 | 5121 | ლესტერი-ტოტენჰემი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 20.05 | 5122 | ევერტონი-საუთჰემპტ. | 2,9 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 20.30 | 5123 | შალკე-ბოხუმი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 20.30 | 5124 | კ.ლაუტერნი-ჰამბურგი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 18.00 | 5125 | ბოლონია-პერუჯა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 18.00 | 5126 | კიევო-სამპდორია | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 18.00 | 5127 | მოდენა-ლეჩე | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 18.00 | 5128 | რეჯინა-სიენა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 18.00 | 5129 | რომა-პარმა | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 18.00 | 5130 | უდინეზე-ემპოლი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 11,0 | 22,0 | 11,0 | 11,0 |
| 23.30 | 5131 | მილანი-ლაციო | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 20.00 | 5132 | რასინგი-მალაგა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 20.00 | 5133 | სარაგოსა-ვალიადოლ. | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 20.00 | 5134 | ვალენსია-ესპანიოლი | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 35,0 | 17,0 | 17,0 |
| 20.00 | 5135 | ბილბაო-ვილიარეალი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 22.00 | 5136 | ოსასუნა-მურსია | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 22.00 | 5137 | ატლეტიკო-მალიორკა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 00.30 | 5138 | სევილია-ბეტისი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | | | | |
| 24.00 | 5139 | ბლექბერნი-ჩარლტონი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |

# RUGBY WORLD CUP 2003

## ავსტრალია 10 ოქტომბერი — 22 ნოემბერი

# ურუგვაი ჩვენ გვემალება და საკუთარ თავს ეძებს

*სამოა — ურუგვაის მატჩის წინ ახალგაზრდა და ამავ დროს, ძველი ბორლალოსანი მალხაზ ურჯუკაშვილი ამბობდა, სამოას დამარცხება შეგვიძლია და ეს უნდა გავაკეთოთო. შეუძლებელი — თავადაც იცით — არაფერია, თუმც აბა ასე დავსვათ კითხვა — რამდენად შესაძლებელია ამ სტაბილურად საშუალო ნაკრების ძლევა?*

*სამოამ 60:13 მოუგო საწყალ ურუგვაის, მაგრამ ამ მატჩის მხილველი ქართველები, ყველაფრის მიუხედავად, ძველ აზრზე დარჩნენ. ჩვენების კაპიტანი ილო ზედგინიძეც ამას გვეუბნება. მას გუშინ ავსტრალიაში შევეხმიანეთ და ქართველების ორივე სამომავლო მეტოქეზე დავეკითხეთ.*

— სამოამ კარგად შეთამაშებული, ძლიერი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა, რასაც ველოდით კიდეც. მე ვიტყვი, რომ სამოა ძალიან ძლიერი ნაკრებია და ინგლისსაც და სამხრეთ აფრიკასაც ბლომად პრობლემებს შეუქმნის. განსაკუთრებით მათი უკანახაზელები მომეწონა, რობინ გუდის ისრებივით არიან.

— ურუგვაი?

— ურუგვაისგან მეტს ველოდი. რაც არ უნდა იყოს, მეორე მსოფლიოს თასს თამაშობს და მეტი მოეთხოვება. წესით და რიგით ჩვენ უნდა მოვუგოთ ურუგვაის, ყოველ შემთხვევისთვის არაფრით გვჯობს. ერთი კი ნაღდად ვერ გავიგე, სამხრეთ აფრიკასთან ერთმა შემადგენლობამ ითამაშა, სამოასთან — მეორემ. გაკვირვებას კი ის იწვევს, რომ არცერთი არ იყო ოპტიმალური. თითქოს ახლა ცდილობენ გუნდის ჩამოყალიბებს, ალბათ საჩვენოდ ემზადებიან.

**— მაგ საქმიდან რა გამოუვათ?**

— ამას მატჩი გვიჩვენებს.

**— მოდი, ისევ სამოას დავუბრუნდეთ. მით უმეტეს, კვირას მათ ეთამაშებით. სამოა — ურუგვაის მატჩის წინ ამბობდით, რომ სამოელთა დამარცხება შეიძლება. ნამატჩევს აზრი ხომ არ შეგცვლიათ?**

— არა... მიუხედავად იმისა, რომ მათ მართლაც კარგად ითამაშეს და გვარიანად ჩაგვაფიქრეს კიდეც. მე ასე ვიტყოდი, გამარჯვების შანსი მაინც გვაქვს, ალბათ, სამოცდაათი ოცდაათზე სამოელთა სასარგებლოდ.

**— მაინც რა უნდა დაუპირსპიროთ სამოელებს?**

— შერკინებით უნდა შევუტიოთ. დაცვში კი ჩვენმა უკანახაზელებმა ისე უნდა ითამაშონ, როგორც არასდროს, სამოელთა ძალიან ტექნიკური და ჯანიანი მოიერიშეები რომ შეაჩერონ. ურუგვაიმ სწორედ შერკინებით დაუდო ორი ლელო და ჯაჯგურში აჯობა კიდეც. ჩვენც ეს უნდა გამოვიყენოთ.

**— შენ მზად ხარ სათამაშოდ?**

— დაახლოებით ოთხმოცი პროცენტით. იმას ვერ ვიტყვი, რომ ფორმის პიკზე ვარ — ერთვიანმა უქმობამ მაინც თავისი გააკეთა.

**— როგორც კაპიტანს, კლოდ სორელი აზრს გკითხავდა, სამოასთან ჩვენს შემადგენლობას შეგითანხმებდა...**

— მართალია. სამოასთან იგივე შემადგენლობა იქნება, რაც ინგლისთან, ოღონდ ორი ცვლილებით. გიორგი ჩხაიძის მაგივრად 8 ნომერზე მე დავდგები, 3 ნომერზე კი „მძიმე" ალეკო მარგველაშვილს უფრო მობილური სოსო ნიკოლაენკო შეცვლის.

**ბაჩო სვანიძე**



ილო ზედგინიძე და გრეგუარ იაშვილი
უკვე სამოას გადაძალვაზე ფიქრობენ

---

## კალათბურთი

# საქართველოს ჩემპიონატი

# რუსთავი გზაში დაიკარგა

## ყვითელი ბარათი კალათბურთში?



რამაზ გოგობერიშვილი და მისი გუნდი
„დინამოსთან" ცოცხალ კედელს წააწყდნენ

**16 ოქტომბერი. ვერის ბაღი**

**დინამო 95:68 რუსთავი**

**25:17, 28:16, 23:19, 19:16**

**დინამო:** გამყრელიძე, ტუღუში (21), ბეჟანიშვილი (7), მინაშვილი (20), მუშკუდიანი (16); ჟღენტი (10), ლოსაბერიძე (11), კეიდია (4), ჩუბინიძე (7)
**რუსთავი:** არწივიძე (6), ჩხეიძე (2), გოგობერიშვილი (13), ტყეშელაშვილი (2), ჯაფარიძე (20); ბერუაშვილი (3), ლიპარტელიანი (5), დანელიანი (12), ჩაჩუა, ჯიმშელეიშვილი (5)
**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**სსუ 79:101 მაკაბი**

**22:24, 11:28, 24:18, 22:31**

**სსუ:** კანკია (5), სორდია (28), ზანგურაშვილი (5), ერქვანია (9), აბულაძე (18); ფარღალავა, პატარაია, მ. ხოშტარია, მიქაბერიძე (2), ონიკაშვილი (8), ლუკავა (4)
**მაკაბი:** ნინოშვილი (20), წოწელია (27), კონჯარია (8), ვაშაკიძე (5), სუხიშვილი (21); ქოქოსაძე, ფიცხელაური, ტატუნაშვილი (4), ოთიურიძე (16)
**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა
**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

რუსთაველთა გუნდი ალბათ მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ჩემპიონობის კანდიდატად, თუ ყველა მატჩს საკუთარ, „ქიმიკოსთა" დარბაზში გამართავს. ქვემოქართლელები რომ შინაურ კედლებში ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ, ახლახან რუსთავში „ბასკოს" ძლევითაც ცხადყვეს, თუმც ჩამოვლენ თბილისში და რიგით, უპრეწტეზიო გუნდად იქცევიან, თითქოს ამბიცია სადღაც გზაში დაკარგესო.

„რუსთავმა" გუშინ ამ ჩემპიონატის მეორე თბილისური მატჩი გამართა და კვლავ დამარცხდა. 5 ოქტომბერს ქვემოქართლელები პრინციპულ მეტოქეს, თსუ-ს დანებდნენ, გუშინ კი ჩემპიონ „დინამოსთან" განადგურდნენ. გუშინდელმა მატჩმა ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე საკმაოდ ბევრი გულშემატკივარი მოიზიდა, თუმც ხალხმა იმის მესამედი ინტრიგაც ვერ იხილა, რასაც ელოდა.

არადა, მატჩი ისე მშვიდობიანად და თანაბრად დაიწყო, ვერავინ იფიქრებდა, თუ მესამე მეოთხედში გამარჯვებული უკვე გამორკვეული იქნებოდა. ნელ, შეიძლება ითქვას, ზანტ თამაშში, მეტოქეები მორიგეობით იხვეჭდნენ ქულებს და საწყისი მეოთხედის მერვე წუთამდეც ანგარიშში თანაბრობა იყო.

ამ რვა წუთში „დინამომ" ოდენ 2 ქულით გაუსწრო სტუმრებს, რუსთაველებმა კი ხსენებულ მონაკვეთში ოდნავ უფრო მეტად იყოჩაღეს — ჯაფარიძის ზუსტი სროლის შემდეგ 14:11 დაწინაურდნენ. ეს იყო და ეს, ქვემოქართლელებს თითქოს რეტი დაესხათო, ვერც ბურთს აგდებდნენ, დაცვის ბჭენიც ფარღალალად დაეტოვებინათ. შედეგად დინამოელებმა პირველი მეოთხედი 25:17 მოიგეს, მეორის საწყისი ხუთწუთეული კი 17:2 გაიჯირითეს და დიდ შესვენებაზე ანგარიშში 20-ქულიანი მარაგით გავიდნენ.

დინამოელები მობილურად ირჯებოდნენ და აზრიანად ათამაშებდნენ ბურთს. ქების ღირსია ყველა დინამოელი, თუმც უკანახაზელთაგან კოტე ტუღუშს, მეფარეთაგან კი ვახტანგ მინაშვილს გამოვარჩევთ. რუსთაველთაგან კი ვის? არც არავის. ის კი არა, ქვემოქართლელთა ლიდერმა რამაზ გოგობერიშვილმა საერთაშორისო კატეგორიის არბიტრ ზაზა მაჩალაძეს ყვითელი ბარათიც კი გამოსტყუა... უცნაურია, მაგრამ, დიახაც, ყვითელი ბარათი. როცა გოგობერიშვილი ჩვენებურ „კოლინას" რაღაცაზე მიედავა, მსაჯმა, თითქოს საფეხბურთო მატჩიაო, ჯიბიდან ყვითელი ბარათი დააძრო — კიდევ ერთი არგუმენტი ზაზა მაჩალაძისა და პიერლუიჯი კოლინას მსგავსებისა.

თამაშმა ინტერესი მესამე მეოთხედში დაკარგა, როცა დინამოელთა უპირატესობამ 30 ქულას გადააჭარბა.

გუშინდელი დღის მეორე მატჩიც წესით დაძაბული უნდა ყოფილიყო, რაკი ერთი კალიბრის, საზოგადოდ კი სუსტი გუნდები, „მაკაბი" და სსუ თამაშობდნენ. „დინამო — „რუსთავის" არ იყოს, ამ მატჩშიც მხოლოდ საწყის მეოთხედში ვიხილეთ ინტრიგა, თუმც მეორე ათწუთეული და სოხუმელთა რბევა ერთდროულად დაიწყო. გოჩა წოწელიასა და იოსებ ნინოშვილის მეთაურობით მაკაბელებმა მალევე მოიპოვეს 20-ქულიანი ლიდერობა და თამაშის ბოლომდეც ამ ზღვრის ირგვლივ ტრიალებდა ანგარიში.

**ირაკლი პერტაია**

# იპონი მწვერვალზე

## გინდა, მაგარი გახდე? ნახე ხდე!

დასაწყისი იხ. „სარბიელი" №196

ამ წერილის დასაწყისში ოლიმპიურ ჩემპიონთა მთამსვლურ ამბებზე რომ გიამბეთ, ალბათ უპრიანი იქნება ალპინისტთა ხუთრგოლიანი ისტორიის გახსენებაც, რამაც მათ ოლიმპიური ოქროს მედლები მოუტანა.

ცხადია, ოლიმპიური ოქროს მედალი რომ მოიპოვო, ოლიმპიური ჩემპიონი უნდა გახდე, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა ამგვარი ჯილდო მიიღეს მთამსვლელებმა, რომლებიც ოლიმპიურ თამაშებზე საერთოდ არ გამოსულან და ვერც გამოვიდოდნენ, რადგან ალპინიზმი მის პროგრამაში არც არასდროს ყოფილა. ასეთ გამონაკლისთა შორის ხუთი მთამსვლელი აღმოჩნდა.

პირველი, ვინც ეს ჯილდო მიიღო, ინგლისელი გენერალი ჩარლზ ბრიუსი გახლდათ — 1924 წელს დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე მოწყობილი ექსპედიციის მეთაური. ამ ექსპედიციამ მაშინ მწვერვალს ვერ მიაღწია, მაგრამ სარეკორდო 8600 მეტრამდე ავიდა. ყველამ ერთხმად აღიარა ექსპედიციის უდიდესი მიღწევა და მისი მეთაური ოლიმპიური ოქროს მედლით დააჯილდოვა.

1932 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ძმების, ფრანც და ტონი შმიდების ასვლა ალპების ულამაზეს და ურთულეს მწვერვალ მატერჰორნზე ოლიმპიური ოქროთი დააფასეს.

ბოლოს, 1936 წელს, ოლიმპიური ოქროს მედლები გადაეცათ შვეიცარიელ ცოლ-ქმარს ჰეტი და გიუნტერ ოსკარ დირენფურტებს, რომლებმაც 1934 წელს ყარაყორუმზე ბალტოროსა და სია კანგრის მწვერვალებზე სარეკორდო ასვლები განახორციელეს.

ერთხანს მთამსვლელებს ალპინიზმის თემაზე დაწერილ წიგნებში და ასვლების ანგარიშების შედგენაში „ოლიმპიურ ჰონორარს" უხდიდნენ, მერე კი ესეც დაივიწყეს.

ახლა დავუბრუნდეთ ხდეს ხეობას, თუმცა, მის უსახელო მწვერვალზე არც ჩვენს ოლიმპიურ ჩემპიონებს ელით კიდევ თითო ოლიმპიური ოქროს მედალი და იქ „ოლიმპიური ჰონორარის" უწყისზე ხელის მოსაწერად არც ექსპედიციის წევრ ჟურნალისტებს დაგვხვდება მოლარე.

ჩინმედლებისა და პრემიებისთვის არც ხდის ხეობის მწვერვალებზე პირველამსვლელებს დაულაშქრავთ აქაური სიმაღლეები. მათგან ყველაზე მაღალია შანი (4451მ), რომელიც ანდამატივით იზიდავდა და იზიდავს ამ ხეობაში ამოსულთ. თუმცა, მასზე მთამსვლელებს თავდაპირველად რამდენჯერმე ხელი მოეცარათ, 1932 წელს კი მიზანს მიაღწიეს.

ლევან გოთუა „ხდედალეულნში" სწორედ იმ ასვლის შესახებ მოგვითხრობს.

ხდის ხეობის მწვერვალებზე, რომლებიც ძირითადად 4150-დან 4250 მეტრი სიმაღლისანი არიან პირველი ასვლების უმრავლესობა ალექსანდრე ჯაფარიძის მეთაურობით განხორციელდა.



ვახტანგ ბლაგიძე და შოთა ხაბარელი: აი, ჩვენი მწვერვალი!



მწვერვალი „საქართველოს ოლიმპიელი"

1955 წლამდე იქ მთამსვლელთა ჯგუფები მაინც იშვიათად ამოდიოდნენ. მათი რაოდენობა თხუთმეტსაც ვერ აღწევდა, 1955 წლიდან კი ნამდვილი ბუმი დაიწყო. რამდენიმე წლის შემდეგ აქ თბილისის უნივერსიტეტის ტრადიციულ ალპინიადებს შოთა მირიანაშვილი ჩაუდგა სათავეში და მას მერე ალპინიზმს დღემდე აზიარებს და აზიარებს იქაურ სტუდენტობას. თუმცა, კაცი სადაცაა სამოცდათორმეტისა მოიყრება, მაგრამ მისი მგლის მუხლი და ენერგია ბევრ ახალგაზრდას შეშურდება.

ახლაც ამ მე-60 ალპინიადის მონაწილეთა ერთმა ნაწილმა მისი მეთაურობით ალპინისტური ნათლობა მიიღო, მეორემ კი ოსტატობა აიმაღლა.

შოთა მირიანაშვილი მეორე მწვერვალიდან იმ საღამოს რომ დაბრუნდა, დილით ახლა ჩვენს „ოლიმპიურ" გუნდს ჩაუდგა სათავეში და წინ წაგვიძღვა. თვრამეტნი წავედით, თუმცა ოლიმპიურ ჩემპიონებთან ერთად ლაშქრობის მოსურნე გაცილებით მეტი აღმოჩნდა, მათ შორის ახალბედებიცა და თანრიგოსანი მთამსვლელებიც.

ასე იყო თუ ისე, დიდებული ამინდი დაგვიდგა. ერთი ეგ იყო, მწვერვალთან ახლოს ღამისთევისას მალიმალ ისეთი ძლიერი ქარი უბერავდა, ლამის კარვის კალთები დაგვიხია.

გადამწყვეტი იერიში უთენია დავიწყეთ. იმ ბინდ-ბუნდში ზღაპრული სანახავი იყო მწინვარწვერი სადაც ასევე უნივერსიტეტელებმა, გიორგი ნიკოლაძის მეთაურობით 80 წლის წინათ სათავე დაუდეს ქართული და მთელი საბჭოთა ალპინიზმის ისტორიას, ჩვენ კი ეს საიუბილეო თარიღი ხდეში ამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე მასზე ლაშქრობითაც აღვნიშნეთ. ახლა მყინვარწვერი და მისი ზეცა კალეიდოსკოპის ფიგურებივით სწრაფად იცვლიდა შეფერილობას...

ძალზე უჩველო სანახავი იყვნენ ქარაფებზე გადმომდგარი ჯიხვებიც, რომელთა ცნობისმოყვარე მზერა დიდხანს მიგვაცილებდა მწვერვალისკენ, მაგრამ უფრო იშვიათი სურათი გველოდა მწვერვალზე თუმცა იქამდე ჯერ ასვლა იყო საჭირო.

არა, მწვერვალზე ასვლა საეჭვო სულაც არ იყო, მაგრამ სულ ბოლოს, როცა მასზე მიბჯენილ პიტალო, შვეულ კლდეს მივადექით, შევფიქრიანდით, მთამსვლელისთვის მეტად შეუფერებელად ზორბა შოთა ხაბარელს იქ რა აიყვანსო. მანამდე ხაბარელი მირიანაშვილის მიერ თოვლში გაკვალულ ბილიკს ბაჯბაჯა დათვივით ანგრევდა და მის ნაფეხურებში თავისზე ორჯერ მსუბუქი ბლაგიძე წელამდე ეფლობოდა.

ბოლოს, იმ პიტალოს რომ მივადექით, ხაბარელმა ხელები გაშალა: „ეს არის, მწვერვალზე სულ ბილიკ-ბილიკ ახვალო, რომ მაგულიანებდა სეოკ-ის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი..."

მერე ხაბარელმა ერთი სული მოითქვა, გავარდა და კლდეზე დათვივით აბობღდა. ამ დროს გაჯიუტებულმა ბლაგიძემ ჭკუა იხმარა, გასაძრომს მიაგნო და მწვერვალზეც აღიღინდა. იქ კი გაბადრული და მუშტებაღმართული ხაბარელი დახვდა.

ოლიმპიური ჩემპიონი რომ გავხდი, მაშინაც ზუსტად ასე, მუშტებაღმართულმა გამოვხატე უდიდესი სიხარულიო, გვითხრა შოთა ხაბარელმა, რომელსაც თურმე უფრო სიამოვნებს, როცა მას მამუკად მოიხსენიებენ...



სამახსოვრო სურათი მწვერვალ „საქართველოს ოლიმპიელზე"

და იქ, მწვერვალზე, როცა მამუკა ამგვარად გამოხატავდა სიხარულს, დიდხანს და მედიდურად თავს დაგვტრიალებდა ორი არწივი.

კაცი მწვერვალებზე სიარულში ამ ხნისა მოვიყარე და მსგავსი რამ არ მინახავსო, უკვირდა შოთა მირიანაშვილს.

მწვერვალზე აქამდე არც სხვებს გვინახავს არწივი და ამიტომაც ჩვენს თავზე მოტრიალე ძლიერებისა და გამარჯვების სიმბოლოდ მიჩნეული ამ ფრინველის გამოჩენა ყველამ კარგ ნიშნად მივიჩნიეთ.

ისიც სიმბოლური დამთხვევა იყო, რომ მწვერვალზე, ქართული ალპინიზმის მეაკვნეებივით, ჩვენც თვრამეტნი ავედით.

და ის ორი არწივი, მათთან ერთად კი იქ აფრიალებული საქართველოს დროშა და ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტისაც ალბათ არასოდეს დაავიწყდებათ: ოლიმპიურ ჩემპიონებს ვახტანგ ბლაგიძესა და შოთა ხაბარელს; უნივერსიტეტელ გიორგი ქრისტესიაშვილს, გიორგი მაჭავარიანს, გიორგი ხაბურზანიას, მიხეილ გოგორიშვილს, დავით სვანაძეს, გიორგი მახარაძეს, ზურაბ კიკნაველიძეს; ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებს ზურაბ მახათაძეს, გიორგი მოლოდინს; მე-3 სამედიცინო სასწავლებლის სტუდენტ დავით მჭედლიშვილს; 34-ე სკოლის მოსწავლე ლევან ლომიძეს; იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელ აკაკი ველთაურს; ჩემს კოლეგებს ელგუჯა ბერიშვილს, პაატა ნაცვლიშვილს, თქვენს მონამორჩილს, ამ სტრიქონების ავტორსა და, რა თქმა უნდა, ასვლის მეთაურ შოთა მირიანაშვილს.

და მართალი აღმოჩნდა ელგუჯა ბერიშვილი, როცა ბლაგიძესა და ხაბარელს უწინასწარმეტყველა, მწვერვალზე ასვლის მერე მთებისა და ალპინიზმის სიყვარულით მოიწამლებითო.

ეგ კი არა, ხაბარელი თავად ხომ აპირებს და აპირებს მწვერვალზე კვლავ წასვლას და იქ საქართველოს ძიუდოისტთა მთელი ნაკრების აყვანაც განუზრახავს.

**ავთანდილ გურასაშვილი**
*ავტორის ფოტოები*



ხუან კარლოს ფერერო

# მუშათა კლასს კორტზე რა უნდა?

## ფერერომ ფერეირასთან მთელი ესპანეთი დაიხმარა

**მადრიდის მასტერსტურნირი**
**ჭერქვეშ მაგარსაფარი**
**საპრიზო 2,45 მილიონი ევრო**

**მეორე წრე**

**ხუან კარლოს ფერერო** (1, ესპანეთი) — უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) 6:3, 2:6, 7:6 (7:4); **ენდი როდიკი** (2, აშშ) — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:1, 6:7 (9:11), 7:5; **როჯერ ფედერერი** (3, შვეიცარია) — ალექს კორეჩა (ესპანეთი) 6:4, 6:3; **რობი ჯინეპრი** (აშშ) — რაინერ შუტლერი (4, გერმანია) 6:2, 6:4; **კარლოს მოია** (5, ესპანეთი) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 3:6, 7:5, 6:3; **სებასტიან გროჟანი** (6, საფრანგეთი) — დავიდ ფერერი (ესპანეთი) 6:4, 6:2; **პარადორნ შრიჩაფანი** (7, ტაილანდი) — ალბერტ კოსტა (ესპანეთი) 6:3, 6:7 (5:7), 6:1; **ირჟი ნოვაკი** (8, ჩეხეთი) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:2, 1:6, 6:2; **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) — მარკ ფილიპუსისი (9, ავსტრალია) 6:4, 3:6, 6:4; **ჟან-მაიკლ გემბილი** (აშშ) — სხენგ შალკენი (10, ჰოლანდია) 7:6 (8:6), 6:2; **ხუან იგნასიო ჩელა** (არგენტინა — მარტინ ფერკერკი (11, ჰოლანდია) 6:2, 6:2; **ვინსენტ სპადია** (აშშ) — აგუსტინ კაიერი (12, არგენტინა) 7:6 (7:6), 3:6, 6:3; **ნიკოლას მასუ** (ჩილე) — გუსტავო კუერტენი (13, ბრაზილია) 6:3, 7:5; **მარდი ფიში** (აშშ) — ტომი რობრედო (14, ესპანეთი) 7:6 (16:14), 6:2; **იუნეს ელ აინაუი** (15, მაროკო) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:4, 6:4; **ფელიქს მანტია** (16, ესპანეთი) — ტომას ენკვისტი (შვედეთი) 6:2, 7:6 (7:3).

საჩოგნაო სეზონი ფინიშის სწორზე გადის და წლის პირველოსნად გასრულების მოსურნეთა შორის ბრძოლა სულ უფრო მწვავდება. 12-თვიან, ე.წ. „განთესვის" რეიტინგსიის სათავეში დიდი სიმჭიდროვეა — ამჟამინდელ პირველოსან ხუან კარლოს ფერეროს 4195 ქულა აქვს და მეორე საფეხურზე მდგომ ენდი როდიკს მხოლოდ 30 ქულით უსწრებს. მათ ჩოგან-ჩოგან მისდევს წლეულს ყველაზე მეტი, ექვსი ტიტულის მომხვეჭი როჯერ ფედერერიც (3825). სწორედ ამათვე უპყრიათ ჩემპიონთა რბოლის უმაღლესი საფეხურებიც, იმ განსხვავებით, რომ აქ პირველ ხარისხზე ენდი როდიკი (807) დგას, ხუან კარლოსი (726) კი მეორეზეა.

ერთი სიტყვით, მადრიდულ მასტერსტიტულთან ერთად წლევანდელი სეზონის ეს ლიდერსამეული ამ კვირაში ორივე რეიტინგსიის მოთავეობისთვისაც იბრძვის. ბრძოლის პირველი ეტაპი იმ დღეს შედარებით იოლი მხოლოდ ფედერერისთვის გამოდგა, ფეროროსა და როდიკს კი მძიმე შეხლების გადატანა მოუხდათ.

ფერერო 32 წლის სამხრეთაფრიკელ ვეტერან უეინ ფერეირას ხვდებოდა და პირველი სეტი იოლად, სადღაც ნახევარ სეტში მოუგო. მაგრამ შემდეგ ფერეირამ სიჩქარეს უმატა, იერიშზე გადავიდა და სეტური თანაფარდობის აღდგენას ზედ კიდევ სამი გეიმიც მიაყოლა. მერე მათ ორ-ორი გეიმი გაიცვალეს და ანგარიში მასპინძლისთვის თითქმის კატასტროფული — 2:5 გახდა. აი, სწორედ ამ მომენტში ფერეროს დასახმარებლად მთელი „როკოდრომო" აყიჟინდა. ჰალალად უნდა ითქვას, ეს პატიოსანი ქომაგობა არ ყოფილა, რაკილა — წინააღმდეგ დაუწერელი საჩოგბურთო კანონებისა — მადრიდელები არა მარტო კოლობიჭს აგულიანებდნენ, არამედ ფერეირას ყოველ შეცდომაზეც გამაყრუებელი შეძახილებით რეაგირებდნენ. შებერებულ „ქურციკს" ასეთ არაკეთილგანწყობილ ატმოსფეროში ნერვებმა უმტყუნა და 5:2-ზე, როცა უკვე 40:15 მიჰყავდა და გამარჯვებამდე ერთი ქულაღა აშორებდა, ჩოგანი აუკანკალდა...

გამარჯვებაგაშვებული და ფსიქოლოგიურად გატეხილი მეტოქის ბოლომდე დათრგუნვა კი უეცრად მოყინჩებულ ესპანელს აღარ გასჭირვებია.

ნამატჩევს ფერეირა, ცხადია, უწინარესად მადრიდულ პუბლიკას ემდუროდა და — დღეს სამარცხვინოდ, „უკლასოდ" მოიქცნენო, ასე ამბობდა.

თითქმის მსგავსი სცენარითვე წარიმართა როდიკისა და „მხეცად" წოდებული ბელარუსის, მაქს მირნიტ მატჩიც. იმ განსხვავებით, რომ ამერიკელს მესამე სეტში არავინ დახმარებია — ჯიუტ მეტოქეს მეთერთმეტე გეიმში მოწოდება გაუტეხა და 6:5-ზე თავისი გეიმი უყოყმანოდ მიითვალა. ამ შეხვედრაში როდიკს 60 ქულიანი დარტყმა დაუფიქსირდა, რომელთაგან 21-იც ეისი იყო.

შეგახსენებთ, რომ სანამ აშშ-ის ღია პირველობას მოიგებდა, ენდიბომ მონრეალურ და ცინცინატური მასტერსტურნირებზეც იმარჯვა და ახლა შანსი აქვს, ზედიზედ სამი მასტერსტურნირის მომგები პირველი მეჩოგნე გახდეს.

ფეროროსთან ერთად ამის გაკეთებას მას ყველაზე მეტად სწორედ როჯერ ფედერერი შეუშლის, ვინაც თავის მხრივ იმ დღეს სულ რაღაც 70 წუთი მოანდომა სახელიანი ესპანელის, ალექს კორეჩის გაბუნძულებას. ფედერერი ახლა ჩაუქ ფორმაშია, წინა კვირას ვენაში შარშან ნაშოვნი ტიტული დაიცვა და ამ მომენტისთვის ვინძლო თავის კონკურენტებზე მეტ თავდაჯერებასაც მოიძევდეს.

სხვაფრივ — როდიკის მსგავსად მესამე წრეში პაექრობის უფლება კიდევ ორმა 21 წლის ამერიკელმა მოიპოვა — რობი ჯინეპრიმ წინა ორი კვირის განმავლობში ორგან, ტოკიოსა და ლიონში გაპირველებული და, ამდენად, გვარიანად დაღლილი რაინერ შუტლერი აოტა, მარდი ფიშმა კი ასევე განთესილი და თანაც ესპანელი რობრედო მოაშთო. ამათ კიდევ ერთი, შედარებით უფროსი თვისტომი, 26 წლის ჟან-მაიკლ გემბილიც მიჰყვათ, ვინაც მათსავით სეტასწაუგებლად აჯობა მე-10 ნომრად განთესილ სხენგ შალკენს...

სულ ბოლოს კი ორი ამბავიც, რომელთა შესახებაც გადატვირთული საბოლოდღეებო კალენდრის გამო დაგვიანდა: პირველი ის, რომ ანდრე აგასისა და შტეფი გრაფს მეორე ბალღი, ამჯერად გოგოცუნა შეეძინათ და ამის გამო ჯადო არმენოამერიკელმა ყველა დარჩენილ ევროტურნირს უგანა. მეორე კი რუს მარატ საფინს შეეხება, ვინაც მადრიდში კი ჩავიდა, მაგრამ პირველსავე წრეში შვედ იონას ბიორკმანს შემოემარცხა.

**ქარლო ბოგოლი**

# როდიკი დაკაცებულა

## სამპრასის და აგასის მემკვიდრემ კუთვნილი მოინდომა



*დიდი ჩოგბურთის დიდი იმედი ენდი როდიკი ამჟამად მადრიდში, მასტერსტურნირის მორიგ გათამაშებაზე იმყოფება და, როგორც ყოველთვის, ცდილობს, თვალხარბ პუბლიკას თავი უშელავათოდ ლამაზი ბრძოლებით დაამახსოვროს. მისი მიზანი ოდენ გამარჯვებაა. ამერიკელ მეჩოგნეს ესპანური „მარკას" ჟურნალისტი გაესაუბრა*

**— მოგწონთ მადრიდული კორტები?**

— ძალიან, ჩემი თამაშის სტილს ხელს უწყობს.

**— შარშან ანდრე აგასი ირწმუნებოდა, მადრიდის ბრწყინვალებამ გამაოცაო. როგორ გრძნობთ თავს ესპანეთის დედაქალაქში?**

— მესმის, რატომ გაოცდა აგასი. აქ შესანიშნავად ვარ. მადრიდმა მეც ძლიერ მომხიბლა. ადრეც ვყოფილვარ პირინეებზე, თუმც, სამწუხაროდ, მაშინ აქაური სიმშვენიერის სრულად შეგრძნება და ესპანური ღვინითა თუ კერძებით ტკბობა ვერ მოვახერხე. იმედია, ამ ჩამოსვლაზე მაინც გამოვნახავ დროს, რათა მადრიდში ოდნავ მაინც მოვულხინო.

**— ხუან კარლოს ფეროროს თქმით, თქვენს განთქმულ ჩაწოდებას ახლა მადრიდული კორტების ხარისხიც შეავსებს და როდიკის შეჩერება თითქმის შეუძლებელი იქნება...**

— მოდით, ხუან კარლოსის ნათქვამს სიტყვა „თითქმის" ჩამოვაცილოთ. თუმცა, თუ ამ საკითხს სერიოზულად მივუდგებით, იმის აღნიშვნაც საჭიროა, რომ მატჩს მარტო ჩაწოდებით ვერ მოიგებ. დიდი ჩოგბურთისთვის ყოველმხრივ მზადყოფნაა საჭირო.

**— თქვენ აგასისა და სამპრასის მემკვიდრედ გასახელებენ. დიდი პოპულარობა და პასუხისმგებლობა ალბათ დიდ დაძაბულობასთანაცაა დაკავშირებული...**

— მართალს ამბობთ. სამი წელია, რაც ამაზე საუბრობენ და გამოგიტყდებით, პირველ ხანებში ძლიერ ვნერვიულობდი. მერე სიტუაცია შეიცვალა, დროთა განმავლობაში ეს კომპლექსი მომეხსნა და ახლა ძალიან ვამაყობ, როცა ჩრდილოამერიკული ჩოგბურთის ლიდერად მომიხსენიებენ.

**— თქვენი დიდი თანამემამულეებისგან რა ისწავლეთ?**

— ანდრესა და პიტის მატჩებიდან უამრავი სასარგებლო რამ შევითვისე. საიდუმლოდ გეტყვით და ყველაზე მეტად მაინც მათი ფსიქოლოგიური ნიჭი მაკვირვებს. ერთხელ აგასიმ მითხრა: „ენდი, თუ რაიმეს ძალიან, ძალიან მოინდომებ, აუცილებლად შეგისრულდება!" მეც დავუჯერე და აშშ ღია პირველობის ჩემპიონი გავხდი. ესეც თქვენი ანდრე აგასი!

**— საკუთარ სათამაშო სტილს როგორ დაახასიათებდით?**

— როგორც სამპრასისა და აგასის საჩოგბურთო თვისებების წარმატებულ ნაერთს.

**— ამერიკის ღია პირველობა ახსენეთ და, რა თქმა უნდა, ალბათ გეგმავდით კიდეც ამ ტურნირში გამარჯვებას. თქვენი აზრით, ჩემპიონობამ მეტისმეტად დააგვიანა თუ მეტისმეტად ადრე მოვიდა?**

— ადრე, ძალიან ადრე. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ასე უცბად თუ მივაღწევდი ამხელა გამარჯვებას.

**— იმაზე თუ გიფიქრიათ, შემდგომში კიდევ რამდენი სლემ-ტიტულით შეგიძლიათ გაიხაროთ?**

— რაც მეტი იქნება, მით უკეთესი. მომავალი დიდი ჯილდოების წინასწარ გამოთვლა ძნელი საქმეა, მთავარია, ყველა მატჩი მოიგო და მაშინ ჩემპიონობაც ვერსად გაგექცევა.

**— პიტ სამპრასის ფანტასტიკური შედეგი ანუ 14 დიდი სლემი სხვათათვის მიუღწეველია?**

— დღევანდელ მოქმედ ჩოგბურთელთაგან არავის შეუძლია მსგავსი რამის განმეორებაც კი. თითოეული ჩვენგანს პიტის რეკორდამდე ძალიან ბევრი აკლია. ასეთი რაღაცა ალბათ 30 წელიწადში ერთხელ თუ ხდება და მეც შვილიშვილებს სიამაყით მოვუყვები, სამპრასისთანა ოსტატის დროს კორტებზე გამოსვლა რომ მომიწია. საერთოდ, უამრავი ადამიანის აზრით, იგი საუკეთესოთა შორის საუკეთესოა.

**— თქვენს სურვილზე რომ იყოს დამოკიდებული, კარიერისთვის რომელიმე სხვა განვლილ ეპოქას ხომ არ აირჩევდით?**

— ამას თუ გავაკეთებდი, ალბათ მხოლოდ იმისთვის, რომ ჯომ მაკინროის თავისი დიდების საუკეთესო წლებში შევჯიბრებოდი. ეს ბრწყინვალე რამ იქნებოდა!

**— ამერიკის პირველობის ფინალის შემდეგ ბორის ბეკერი ამტკიცებდა, ჩოგბურთის მომავალი როდიკის და ფეროროს ეკუთვნისო. თუ ეთანხმებით ამ აზრს?**

— მაშინ ბეკერს ჩვენთან ერთად ჰიუიტი, ფედერერი, საფინი და ნადალიც უნდა ეხსენებინა. დიდი ჩოგბურთის ახლანდელმა თაობამ სრულებით შეცვალეთ სპორტის ეს სახეობა და რა თქმა უნდა, ეს ცვლილება უკეთესობისკენაა.

**— ფერერო თქვენთვის ყველაზე უხერხული მეტოქეა?**

— ალბათ კი. ხუან კარლოსს ოსტატობა არ აკლია და ამასთანავე ლიდერად ყოფნის უძლეველი სურვილიც ჭარბად აქვს. აშკარად ემჩნევა, გრანდების იერარქიაში დიდი ხნით სწყურია პირველი ადგილის დაპყრობა. ფერერო ძალიან საშიში მოწინააღმდეგეა.

**— გასულ წელს უიმბლდონში ყველაზე სწრაფი მოწოდება გქონდათ — 232 კმ/სთ-ში. რა არის თქვენი სიძლიერის საიდუმლო?**

— ზუსტად ვერ გეტყვით, თუმცა ერთი რამის თქმა დარწმუნებით შემიძლია — ღმერთი მწყალობს და მკლავის სიმაგრე მანვე მიბოძა. ხანდახან მეც მიკვირს ტაბლოზე ანგარიში ჩემს სასარგებლოდ ასე სწრაფად რომ იცვლება.

**— ჩოგბურთის გარდა სპორტის რა სახეობა გაინტერესებთ?**

— გამოკვეთილ უპირატესობას ვერც ერთს მივანიჭებ. ფეხბურთიც მომწონს და კალათბურთიც. ნბაში „მაიამის" ვგულშემატკივრობ, მაგრამ ჩემი ფავორიტი მაინც მაიკლ ჯორდანია.

**— გარდა თქვენი უშუალო საქმიანობისა, აქტიურ ქველმოქმედებასაც ეწევით...**

— ვთვლი, რომ სპორტში და ნებისმიერ სხვა სფეროში სახელგანთქმულ ხალხს სხვათა დახმარებაც აუცილებლად მართებს. ამის დასამტკიცებლად ლენს არმსტრონგის მაგალითიც კმარა — დიდი ველომრბოლი ამასთანავე დიდი ქველმოქმედიც გახლავთ.



გიორგი ყაჭეიშვილი

# ყაჭეიშვილმა სემანს ეტლი აჩუქა და ცხენი წაართვა

**პლოვდივში ევროპის გუნდური ჩემპიონატის მეხუთე ტურში ქართველმა ვაჟებმა ესტონეთის ნაკრებს 2,5:1,5 სძლიეს და ჯამში მოგროვილი შვიდი ქულით ცხრილში მეექვსე ადგილზე აინაცვლეს. ჩვენებმა ესტონელებთან ერთი პარტია მოიგეს, სამი კი ყაიმით დაასრულეს. მესამე დაფაზე თავისი შეხვედრა მოიგო გიორგი ყაჭეიშვილმა. მან თეთრი ფიგურებით ტარვო სემანი დაამარცხა.**

**შეხვედრის** დასაწყისში მოთამაშეებმა ჯერ მეფის უსაფრთხოებაზე იზრუნეს და იერიშები შემდეგ წამოიწყეს. შეხვედრა მშვიდ თანაბარ ტემპში გაგრძელდა. ფიგურების კვლას ორივე მხარე ერიდებოდა. მე-20 სვლაზე ესტონელი ქართველის ხელმწიფეს დაემუქრა და თან ეტლიც გაუცვალა. ცხრა სვლაში ყაჭეიშვილმა სემანს ეტლი შესწირა, რითაც თეთრების ლაზიერს მეტოქის სიმაგრისკენ გზა გაეხსნა და ჩვენებურმაც მესამე სვლაზევე აინაზღაურა დანაკარგი. ამ გაცვლით ხეირი უფრო ქართველმა ნახა, მას უკეთესი სათამაშო პოზიცია დარჩა და გაცვლითი თამაში დაიწყო. 34-ე სვლაზე ყაჭეიშვილს ხელმწიფე, მხედარი და შვიდი პაიკი დარჩა. ესტონელს მეფე, მხედარი და ერთით ნაკლები პაიკი.

დაფაზე პაიკებზე ნადირობა დაიწყო, რომელშიც ქართველმა იძალა, ხარისხობრივი უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა და მე-60 სვლაზე შავ მხედარ-მეფეს ჩანგალიც ჩაუსვა. სემანსაც რაღა დარჩენოდა, უცხენოდ დარჩენილმა „ქვეითად“ ბრძოლა აღარ ისურვა და დამარცხება აღიარა.

პირველ დაფაზე ბადურ ჯობავა კაიდო კულაოტს დაუზავდა. თამაშის ერთ მომენტში უპირატესობას ესტონელი დაეუფლა, თუმც ქართველმა შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და მშვიდობიანად დაშორდა მეტოქეს.

ხანმოკლე გამოდგა კაპერ მეელისა და მიხეილ მჭედლიშვილის პარტია. მათ თითქმის დებიუტშივე, მე-9 სვლაზე შეწყვიტეს ბრძოლა და ნაადრევი ყაიმი გამოაცხადეს. მეოთხე დაფაზე მესამე ყაიმი ითამაშა მერაბ გაგუნაშვილმა. იგი სეპ ოვალს დაუზავდა.

ჩემპიონატის ფავორიტმა რუსეთის ნაკრებმა 3:1 მოუგო უშუალო კონკურენტ ისრაელს და 10 ქულით პირველ ადგილზე აღზევდა.

ქართველმა მანდილოსნებმა ჩემპიონატზე უკვე მეორე თამაში ჩააგდეს. ამჯერად მათი მძლეველი პოლონეთის ნაკრები აღმოჩნდა. პირველ დაფაზე ივეტა რაძიევიჩისა და ნინო ხურციძის ოცდაათსვლიანი შეხვედრა ყაიმით დასრულდა.

მეორე დაფაზე ნანა ძაგნიძე მონიკა სოცკოს შეხვდა. ქართველმა პარტია აქტიურად დაიწყო, ხშირად გადადიოდა შეტევებზე და დიდ თავსატეხს უქმნიდა მეტოქეს, მაგრამ პოლონელმა თანდათან გამოასწორა თამაში და მე-60 სვლაზე იმარჯვა კიდეც.

ცხრილის სათავეში რუსეთის ნაკრებია 9 ქულით, ქართველები მათ სამი ქულით ჩამორჩებიან და მეათე ადგილზე არიან.

**ლაშა ბეგეჭკორი**



## რეგულარული ჩემპიონატი




ფინიქსელი ბრანკო რადოევიჩი „ფლორიდის“ კარს მიეძალა

# შეინ გრეცკისა სიტყვაც ჭრის

15 ოქტომბერი

**ფლორიდა 1:2 ფინიქსი**

*0:0 0:1 1:1*

**0:1 დოუნი (28), 0:2 სუხი (44), 1:2 ვან რინი (57)**

ფინიქსელებს შეუძლიათ, იამაყონ. ზედიზედ სამი მოგების შემდეგ ახალგაზრდა, უსახელო ჰოკეისტებით დაკომპლექტებული უეინ გრეცკის გუნდი სატურნირო ცხრილის სათავეშია, რაც ბევრისთვის სიურპრიზი გახლდათ. ასეთი კარგი სტარტი გუნდს 16 წელი არ ჰქონია, ხოლო თუ „კოიოტები“ შემდეგ მატჩშიც იმარჯვებენ, საკლუბო რეკორდს დაამყარებენ.

ისე, ზემოთ, სიტყვა „უსახელო“ რომ ვიხმარეთ, ცოტა გადავაჭარბეთ. ეს არა და არ ეკუთვნის 31 წლის მეკარე შონ ბურკს. მართალია, იგი თასის მფლობელი არასდროს გამხდარა და არც ინდივიდუალური პრიზი მოუგია, მაგრამ ყოველთვის მაღალი კლასის მეკარედ ითვლებოდა, წლებმა კი მხოლოდ გამოცდილება შემატა და უფრო საიმედო გახადა. „ბურკი ყოველ მატჩში ჩვენი საუკეთესო მოთამაშეა. ის რომ არა, ასე იღბლიანად ვერ დავიწყებდით სეზონს“ — თქვა „ფლორიდასთან“ მატჩის შემდეგ მისმა პარტნიორმა შეინ დოუნმა. მართალიც არის. სამივე თამაშში ბურკმა არანაკლებ 30-30 დარტყმა მოიგერია და მხოლოდ ორი გაუშვა. ამჯერად შონმა 57-ე წუთამდე შეინახა კარი „მშრალად“. მერე მასპინძლები რიცხვმრავლობაში რისკზე წავიდნენ და მეკარე მეექვსე მოთამაშით შეცვალეს. გაუმართლათ, მცველმა მაიკ ვან რინმა ერთი გოლი გაქვითა, მაგრამ ბურკმა „პანტერებს“ მეტის გატანის უფლება აღარ მისცათ.

**დალასი 0:2 ბოსტონი**

*0:1 0:0 0:1*

**0:1 როლსტონი (18), 0:2 როლსტონი (60)**

„ბუფალოსთან“ უღიმღამო მატჩის მესამე პერიოდში „დალასის“ თავკაცმა დეივ ტიპეტმა სუსტად მოთამაშე ლიდერები — მაიკ მოდანო და სერგეი ზუბოვი — სათადარიგოთა სკამზე დასვა. ასეთი პროფილაქტიკური ზომების მიღების შემდეგ ამჯერად დასჯილებმა იაქტიურეს და გუნდიც მთლიანობაში უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ „ბოსტონის“ მეკარეიმ ენდრიუ რეიკროფტმა თითქოს მოაჯადოვა კარი. სტუმრები ძელმა ოთხჯერ (!) იხსნა.

**ლოს ანჯელესი 4:3 ოტავა**

*0:1 2:2 2:0*

**0:1 ალფრედსონი (5), 1:1 რობიტაილი (22), 1:2 ალფრედსონი (34), 1:3 ხარა (36), 2:3 არმსტრონგი (39), 3:3 შტუმპელი (48), 4:3 ფროლოვი (53).**

მიუხედავად დიდი ტრავმიანობისა, „ლოს ანჯელესმა“ ჯიგრიანად დაიწყო სეზონი. „მეფეებს“ ოთხი ლიდერი, მათ შორის ჯეისონ ელისონი და ადამ დედგარში აკლიათ, მაგრამ უკვე მესამედ მოიგეს.

**სამველ ღარიბიანი**

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | | |
| ნიუ ჯერსი | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 5:4 | 3 |
| ფილადელფია | 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 5:3 | 3 |
| აილენდერსი | 3 | 1 | 1 | 0 | 1 | 9:8 | 3 |
| პიტსბურგი | 2 | 0 | 1 | 0 | 1 | 3:6 | 1 |
| რეინჯერსი | 2 | 0 | 0 | 0 | 2 | 3:10 | 0 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| მონრეალი | 3 | 2 | 0 | 0 | 1 | 11:6 | 4 |
| ბოსტონი | 4 | 1 | 2 | 0 | 1 | 7:9 | 4 |
| ოტავა | 3 | 1 | 0 | 1 | 1 | 10:9 | 3 |
| ბუფალო | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 4:11 | 2 |
| ტორონტო | 2 | 0 | 1 | 0 | 1 | 2:6 | 1 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ატლანტა | 3 | 2 | 1 | 0 | 0 | 8:6 | 5 |
| ფლორიდა | 4 | 1 | 2 | 0 | 1 | 7:6 | 4 |
| ვაშინგტონი | 4 | 1 | 1 | 0 | 2 | 12:12 | 3 |
| ტამპა | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 5:1 | 2 |
| კაროლინა | 3 | 0 | 1 | 0 | 2 | 4:7 | 1 |

NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL

**დასავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | | |
| კოლუმბუსი | 3 | 2 | 0 | 0 | 1 | 9:4 | 4 |
| დეტროიტი | 2 | 2 | 0 | 0 | 2 | 6:4 | 4 |
| სენტ ლუისი | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 3 |
| ნეშვილი | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 4:4 | 2 |
| ჩიკაგო | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 3:9 | 2 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| კალგარი | 3 | 2 | 0 | 0 | 1 | 5:6 | 4 |
| ვანკუვერი | 3 | 2 | 0 | 0 | 1 | 9:4 | 4 |
| კოლორადო | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 6:2 | 2 |
| მინესოტა | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 7:7 | 2 |
| ედმონტონი | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 5:6 | 2 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| ლოს ანჯელესი | 4 | 3 | 0 | 0 | 1 | 13:8 | 6 |
| ფინიქსი | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| დალასი | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 10:8 | 4 |
| სან ხოსე | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 7:10 | 2 |
| ანაჰაიმი | 3 | 0 | 0 | 0 | 3 | 2:9 | 0 |



# მუხრანსა გული რკინისა, მუხლები თუნდაც ხისანი



მსოფლიოს ჩემპიონი მანუჩარ კვირკველია ალმა ათაში მსოფლიოს თასისთვის მიდის

**25-26 ოქტომბერს** ალმა ათაში 6 ქვეყნის ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრები მსოფლიოს თასის მფლობელის ვინაობას გაარკვევს. ტურნირის პრესტიჟულობაზე ისიც მეტყველებს, რომ მასში მონაწილეობისთვის მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდურ პირველობაში ხუთეულში მოხვედრაა აუცილებელი. მართალია, საქართველოს ნაკრები სულ ახლახან მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, მაგრამ ყაზახეთის საგზური მან ჯერ კიდევ შარშან, მოსკოვში ვიცე-ჩემპიონობით დაიბევა. ბეგი დარჩიას გუნდის გარდა ალმა ატაში რუსეთი, აშშ, თურქეთი და ეგვიპტეც ჩავა, ხოლო მეექვსე ადგილი — რა გასაკვირია და — მასპინძლებს შეხვდათ.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს პირველობასა და თასს შორის შუალედი სულ რაღაც 20 დღეა, მონაწილე ქვეყნები საბრძოლო შემადგენლობებით აპირებენ გამოსვლას. შეიძლება ზოგიერთ ნაკრებში მცირე ცვლილებები მაინც მოხდეს, მაგრამ ეს მხოლოდ შიდა კონკურენციიდან და ამა თუ იმ მოჭიდავის საფრანგეთში ნაჩვენები შედეგიდან გამომდინარე.

მსოფლიოს თასის ჩატარების სქემა ჩემპიონატებისგან განსხვავებულია. მასზე წრიული სისტემა მოქმედებს, ყველა გუნდის შვიდივე წევრი ერთმანეთს უნდა შეხვდეს და გამარჯვებულიც ქულათა შეჯამებით გამოვლინდება.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ ჯერ კიდევ საფრანგეთიდან დაბრუნებისთანავე განაცხადა, რომ ალმა ათაში იგივე შემადგენლობის წაყვანას აპირებდა. მოჭიდავეთა გადაღლისა თუ მცირე ტრავმების მიუხედავად მას დღემდე არ შეუცვლია აზრი. მიზეზი კი გუნდის ძირითადი ბირთვის კონკურენტ სპორტსმენთა არასათანადო ფორმაა. მსოფლიოს თასის დებულების თანახმად, ორ წონაში სათადარიგოს განაცხადში შეყვანა ყველა ნაკრებს შეუძლია და, ცხადია, ამ უფლებას დარჩიაც გამოიყენებს, თუმცა, ისევ და ისევ ტრავმებიდან გამომდინარე, საბოლოო გადაწყვეტილებას გამგზავრებამდე 2-3 დღით ადრე მიიღებს.

ტრავმის მხრივ კი ყველაზე მძიმე კვლავაც მუხრან ვახტანგაძის მდგომარეობაა. მსოფლიოს ჩემპიონსა და ოლიმპიურ პრიზიორს ნატკენი მუხლის გამო თითქმის ექვსი თვეა, სრული დატვირთვით არ უვარჯიშია და ამ ხნის განმავლობაში გამარჯვებებს ლამის ცალი ფეხზე დამდგარი აღწევს. მიკროტრავმები სხვებსაც აწუხებთ, მათ შორის, მსოფლიოს ჩემპიონ მანუჩარ კვირკველიას, მაგრამ არა ისეთი, ყაზახეთში ჭიდაობაში ხელი შეუშალოს.

დატვირთული სეზონის შემდეგ ფორმის შესანარჩუნებლად და მომავალი ტურნირისთვის სრული მობილიზებისთვის დარჩიას „ოქროს გუნდი“ ათდღიან შეკრებას 22 ოქტომბერს დაასრულებს, მეორე დღეს კი ალმა ატაში ჩარტერული რეისით გაფრინდება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეალბომონდი

მადრიდში მიმდინარე საჩოგბურთო მასტერსტურნირზე ამქრის ამჟამინდელი მთავარმეჩოგნე, ესპანელი ხუან კარლოს ფერერო სამხრეთაფრიკელ უეინ ფერეირასთან წაგებას მხოლოდ ქომაგთა შემზარავმა ღრიანცელმა გადაარჩინა. ჩვეულებრივ, მადრიდელებთან ერთად კოლობიჭს რეალბომონდელნიც ქომაგობდნენ — დევიდ ბექემი თავის ვიკაიანად, ასევე რობერტო კარლოსი და რაულიც. რაულის აქეთ-იქით მსხდომთა ვინაობას კი ვერ იუწყებიან.



REUTERS



REUTERS

# ნიკოლი და ბავშვები

მისი უოზჰოლივუდესობა ნიკოლ კიდმანი თავის ქალიშვილ იზაბელასთან (მარცხნივ) და ნაშვილებ ვაჟ კონორთან ერთად იმ დღეს „ნიუ იორკ იანკისა“ და „ბოსტონ რედ სოქსის“ საბეისბოლო შეხვედრას დაესწრო. მატჩი იანკების სტადიონზე გაიმართა.

# ფიჯი ნა-აშშ-ევს

ბრისბენში აშშ-ის ნაკრების 19:18-ით ძლევის შემდეგ, რაიც — აკი თქვენც იცით — ავსტრალიაში მიმდინარე სარაგბო მსოფლიოს თასზე მოხდა, ეროვნულად შემოსილმა და უფრო სწორად კი, გახდილმა ფიჯელებმა დიდი ჰარი-ჰარალო ატეხეს. არც გაეკვირვებოდათ, რაკიღა ფიჯისხელა დავითი აშშსხელა გოლიათს რომ მოერევა, სხვაგვარ რეაქციას არც უნდა მოელოდე.



REUTERS



REUTERS

# წინაპართა ძახილი

ეს ამბავი დაბა კამაამაში ხდება, 300 კილომეტრის დაშორებით ვენესუელის დედაქალაქ კარაკასიდამ. იქ მცხოვრები კარინას ტომის ინდიელები ცდილობენ, წინაპართა კულტურასა და ტრადიციებს მეორმოსვლამდე უერთგულონ და საამმიზნოდ ყოველწლიურად თავისებურ ოლიმპიადებსაც მართავენ. ფოტოზე აღბეჭდილ ყმაწვილებს მამაპაპათა დანატოვარი მშვილდისრები შეუმართავთ და ერთმანეთს ჩუბინობაში ეჯიბრებიან.

# როი ყეენებაზე

ცნობილი მოკრივე როი ჯონს ჯუნიორი, რომელიც იმავდროულად მომღერალიცა და პროდიუსერიც გახლავთ, სხვებთან ერთად მაიამიში გამართულ მეჰიპჰოპეთა დაჯილდოების ცერემონიალზე მიეწვიათ. მისკენ მიშვერილ კამერებს ის ჩოპერსა (მარცხნივ) და ჯგუფ „ჯიმის“ მაჟან დაუდგენელ ტიპთან ერთად დაუხვდა... ისე, ფოტო იქით იყოს და, რომ სწორედ იქ გააბაზრა, მაიკ ტაისონთან ჩხუბის შესახებ მოვიბალარაკეთ.



REUTERS

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge